

აღმესანდრე უბირია

დემოგრაფიული ციკლები  
ისტორიაში და გლობალური  
უსაფრთხოება

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2023

წიგნში განხილულია დემოგრაფიული ციკლების ქაოტურობა და დემოგრაფიული ათეთქების ფემონენი, როგორც თანამედროვეობის მთავარი გამოწვევა, რაც დაკავშირებულია ჭარბმოსახლეობის პრობლემასთან და უძველესი დროიდან მიჩნეული იყო პროგრესის შემაფერხებლად.

მონოგრაფიაში ასევე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განხილულია მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკა და ჭარბმოსახლეობის შედეგად გამოწვეული პრობლემები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გლობალურ ხასიათს ატარებენ. გაანალიზებულია ალტერნატიული გზების ძიება, რაც ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი იქნება და მოსალოდნელი პროგნოზები.

**რედაქტორი:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
**პროფესორი ია ხუბაშვილი**

**რეცენზენტი:**

ისტორიის დოქტორი, **მიხეილ ქართველიშვილი**

© ა. უბირია, 2023

© გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-314-8

## ანოტაცია

თანამედროვეობაში ყოველთვის არსებობს რისკი, რომ ლოკალური პრობლემა გლობალურ პრობლემად გადაიქცეს, ამიტომ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია საერთაშორისო ჩართულობა.

დღეს ყველა პრობლემის მამოძრავებელ ძალად გვევლინება დემოგრაფიული ციკლები. მათი ქაოტურობა კაცობრიობის პროგრესს აფერხებს. ამ პროცესის მთავარი გამოვლენა – „დემოგრაფიული აფეთქების“ ფენომენი – ამ ქაოტურობის მთავარი მაგალითია, რომლის შეჩერება მსოფლიო დონეზე დღემდე არ არის შესაძლებელი.

დემოგრაფიული აფეთქება წარმოქმნის ჭარბი მოსახლეობის საშიშროებას. ჭარბი მოსახლეობა გარანტია ცხოვრების ხარისხის გაუარესების, მის პირობებში შეუძლებელია საუბარი ეკოლოგიურ და შესაბამისად, ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

თავდაპირველად ეკოლოგია შემთხვევით არ არის ნახსენები. ქრონოლოგიურად მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა და შემდგომ არსებული ჭარბმოსახლეობის პრობლემა მთავარ ზიანს ეკოლოგიას (ბიომრავალფეროვნების განადგურება) აყენებს, რაც შემდგომ აისახება ეკონომიკურ რეალობასა და პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებზე.

შედეგად ეკონომიკური ფაქტორის გაუარესება იწვევს უმუშევრობის დონის ზრდას, ხელფასების შემცირებას, ფასების ზრდას სხვადასხვა რესურსზე, ცხოვრების ხარისხის მკვეთრად გაუარესებას.

შობადობის რეგულირება ასეთი პროცესების წიაღში

ერთადერთი ალტერნატივაა. რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებაცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

გლობალური პრობლემების გამომწვევი მიზეზის იგნორირება განაპირობებს ეკოლოგიურ კატასტროფას, შიმშილს, შეიარაღებულ დაპირისპირებას, რაც გამოვლინდება რესურსებისთვის ომებში.

## **Annotation**

In modern times, there is always a risk that local problems may be transformed into global problems, thus, the international involvement is important to provide global security.

The core of each problem, nowadays, is demographic cycles and its chaotic nature is against the progress of mankind. The explosion of demography in this process's main factor and its examples is that can't be stopped on the global level.

Demographic explosion creates the peril of exaggerated population. The huge level of population is the guarantee of worsening the quality of life on the ecological level and economy's security.

Firstly, ecology is mentioned for specific reason. Chronologically, the huge increase of population with a fast tempo and then the huge population creates the harm to ecology (destroying the bio diversity) and this affects economical reality and political, social factors.

As a result of this, worsening the economical factor causes the increase of unemployment, decrease of salaries, the increase of prices on various resources, worsening the level of life.

The regulation of birth is the only one alternative way, in order to improve the quality of life.

Ignoring the causing reasons of global problems will cause ecological catastrophe, famine, military conflicts which will be revealed through the wars for resources.

## სარჩევი

<b>შესავალი.....</b>	<b>8</b>
<b>თავი პირველი. მალთუზიანიზმი და დემოგრაფიული ციკლების კონცეფცია</b>	
1.1. მალთუზიანიზმი და ნეომალთუზიანიზმი.....	18
1.2. დემოგრაფიული ციკლების თეორია .....	29
1.3. დემოგრაფიულ-სტრუქტურული თეორია და დემოგრაფიული აფეთქების ფენომენი .....	36
<b>თავი მეორე. დემოგრაფიული პროცესები და მსოფლიო მიგრაციის საფრთხეები</b>	
2.1. მსოფლიო მოსახლეობის დინამიკა და პროგნოზები.....	342
2.2. ჭარბი მოსახლეობა, როგორც ეკოლოგიური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა .....	52
2.3. მსოფლიო მიგრაცია და საფრთხეები .....	56
<b>თავი მესამე. გლობალური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები</b>	
3.1. რესურსების დეფიციტი.....	63
3.2. სამოქალაქო კონფლიქტები .....	67
3.3. „ცივილიზაციათა შეჯახება“ თუ „რესურსებისთვის ომი“? .....	70
<b>თავი მეოთხე. დემოგრაფიული ციკლების დასასრული. შობადობის რეგულირება როგორც ალტერნატივა</b>	
4.1. „ერთი ბავშვის“ პოლიტიკა ჩინეთში .....	83

4.2. „ორი შვილი საკმარისია“ .....	86
<b>თავი მეხუთე. მწვანე თეორია, როგორც ფუნდამენტი XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში</b>	
5.1. ეკოლოგიური უსაფრთხოება და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები .....	90
5.2. მწვანე იდეოლოგიების ფორმირება და ახალი იდეოლოგიების დაპირისპირება.....	98
5.3. მწვანე თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში..	96
5.4 გაერო და ჭარბმოსახლეობის პრობლემა.....	104
<b>დასკვნა .....</b>	127
<b>გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები .....</b>	129

## შესავალი

თანამედროვე სამყარო გამოირჩევა გლობალური პრობ-ლემების სიმრავლით. ყველაზე თვალსაჩინოა ბიომრავალ-ფეროვნების განადგურება (რომელიც გამოწვეულია გარე-მოს დაბინძურებით), გლობალური დათბობა, რესურსების დეფიციტი (წყლის, ნავთობის და ა.შ.), სიღარიბე, უმუშევ-რობა, მასობრივი შიმშილის საფრთხე, ტერორიზმი და სხვ. ამ პრობლემების საფუძვლად გვევლინება დემოგრაფი-ული აფეთქება, მსოფლიოს მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდა, რომელიც, ციკლურობიდან გამომდინარე, თავის-ით ვერ შეჩერდება, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „დე-მოგრაფიული გადასვლა“ მსოფლიოში ვერ შედგა.

ნებისმიერი ქვეყნისთვის უსაფრთხოება არის პრი-ორიტეტი, რომლის გარეშეც შეუძლებელია პროგრესი. ამ-ავდროულად, გლობალური პრობლემების ალკვეთას ერთი კონკრეტული ქვეყანა ვერ შეძლებს, ამისთვის საჭიროა მსოფლიო საზოგადოების ერთობლივი ჩართულობა.

- უსაფრთხოების სახეებია:
- ეკოლოგიური უსაფრთხოება;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- პოლიტიკური უსაფრთხოება;
- სოციალური უსაფრთხოება;
- სასურსათო უსაფრთხოება და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან რთულია რომელიმეს უპ-ირატესობა მიენიჭოს, ფაქტია, რომ ისინი ურთიერთქ-მედებენ, შეუძლებელია მათი განცალკევება. რომელიმე თუ დაირღვევა, ეს ყოველივე აისახება სხვა დანარჩენ სფეროებზე.

გლობალური უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, არის მსოფლიო მასშტაბით ყოველგვარი საფრთხის, გა-

მოწვევის, პრობლემის აღკვეთა, ერთობლივი მოქმედებით, სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოება, რომელიც, ფაქტობრივად, გლობალური უსაფრთხოების ფუნდამენტად გვევლინება. ამავდროულად კონკრეტული ქვეყანა ან ქვეყნები შესაძლოა გლობალური უსაფრთხოების გამოწვევად იქცნენ, რომლის მიზეზი მზარდი მოსახლეობის დაკმაყოფილებაა (ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია პირველი და მეორე მსოფლიო ომები).

გლობალურ უსაფრთხოებაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს საერთაშორისო ურთიერთობების პარადიგმები, რომელთაგანაც ყველაზე ძველია „პოლიტიკური რეალიზმი“, რომელიც, ამასთანავე, ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა საერთაშორისო ურთიერთობებში.<sup>1</sup> რეალიზმის წარმომადგენლებად მიჩნეული არიან: ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე, იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნე ნიკოლო მაკიაველი, ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი<sup>2</sup>, ბრიტანელი ისტორიკოსი ედვარდ ჰელეტ კარი, ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი, დიპლომატი ჯორჯ კენანი, ამერიკელი პოლიტოლოგი ჰანს მორგენთაუ.<sup>3</sup>

რეალისტური ტრადიციისთვის თუკიდიდეს „მელოსის დიალოგი“ უმნიშვნელოვანესი მომენტია, განსაკუთრებით, როდესაც საუბარი კუნძულ მელოსის უსაფრთხოებას ეხება.<sup>4</sup> ამ კუთხით უნდა აღინიშნოს ნიკოლო მაკიაველის

1 Scott Burchill, Andrew Linklater, Richard Deveetak, Jack Donnelly, Matthew Paterson, Christian Reus-Smit and Jackui True. Theories of International Relations. Third edition. PALGRAVE MACMILLAN, 2005. გვ. 29

2 იქვე. გვ. 30

3 Beitz Charles R. Political Theory and International Relations. Princeton University Press. Princeton New Jersey, 1970

4 Donnelly Jack. Realism and International Relations. Cambridge university

„მთავარზე“ ორიენტირი, უსაფრთხოების მიღწევა „მთავარის“ პრიორიტეტია – საჭიროა წესრიგი და კანონები, რომელთა მეშვეობითაც მთავარის, ხელმწიფის ძალაუფლება წარმოადგენს საზოგადოებრივ წესრიგს.<sup>5</sup> ამ კუთხით, ნიკოლო მაკიაველის პოზიციიდან გამომდინარე, მთავარი (ხელმწიფე) არის ძალაუფლება და შესაბამისად, უსაფრთხოებაც. აღსანიშნავია ინგლისელი ფილოსოფოსის თომას ჰობსის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით, ძლევამოსილება არის კეთილდღეობა, ვინაიდან ეს უსაფრთხო ცხოვრების მიღწევის საშუალებაა.<sup>6</sup> „ლევიათანში“ (რომელშიც განხილულია „სახელმწიფოს“ არსი) მან აღნიშნა ადამიანის ბუნებაში არსებული ომის სამი ძირითადი მიზეზი: მეტოქეობა, უნდობლობა და სახელმოხვეჭილობისადმი სიყვარული.<sup>7</sup> იქვე აღნიშნულია, რომ პირველი მიზეზი, რომელიც ერთმანეთზე თავდასხმებისკენ აიძულებს ადამიანებს, მოგებაა, რაც ძალადობრივად სხვისი ქონების დაუფლებით მიიღება. მეორე მიზეზის მიზანია საკუთარი უსაფრთხოება (ძალადობა თავდაცვის მიზნით), მესამეს შემთხვევაში მიზანია „სახელისა და ღირსების“ მოხვეჭა (წვრილმანების გამო – შეუთანხმებლობა, უპატივცემულობა და სხვ.). თ. ჰობსის აზრით, ასეთი დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად, საჭიროა სახელმწიფოს, ლევიათანის ძალაუფლება, შიშის ფაქტორი, რაც ერთადერთი გამოსავალია ამ მდგომარეობიდან გამოსვლის – „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“.

---

press, 2004. გვ. 24-25.

5 Макиавелли Никколо. Избранные сочинения. «Художественная литература». Москва, 1982. გვ. 414.

6 Гоббс Томас. Сочинения в двух томах. Том I. Академия наук СССР. Институт Философии. Издательство «Мысль». Москва, 1989. გვ. 241.

7 Гоббс Томас. Сочинения в двух тома. Том II. Академия наук СССР. Институт Философии. Издательство «Мысль». Москва, 1991. გვ. 95.

ამგვარი ურთიერთობებიდან ყალიბდება სახელმწიფოს უსაფრთხოება, ვინაიდან, მხოლოდ სახელმწიფოა წესრი-გის გარანტი. „ლევიათანის“ მეორე ნაწილში აღნიშნულია ადამიანის ბუნების ერთ-ერთი მთავარი ინსტინქტი – თვითგადარჩენისკენ მისწრაფება, ამ შემთხვევაში უსაფრთხოებისაკენ მისწრაფება. სახელმწიფოს მიზანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა.<sup>8</sup> სახელმწიფოს გარეშე ადამიანი იძულებულია საკუთარი ძალებით დაიცვას თავი, სახელმწიფოს გარეშე არის ომი, სიღარიბე, ბარბაროსობა და ა.შ., სახელმწიფოში არის უსაფრთხოება, სიმდიდრე, ურთიერთდახმარება და სხვ. პირველი და უდიდესი უპირატესობა ყველასთვის მშვიდობა და უსაფრთხოებაა.<sup>9</sup> უმთავრესი, რაც შეიძლება მმართველმა გააკეთოს, არის სახელმწიფოს, ერის უსაფრთხოების მიღწევა, ეს შეიძლება იყოს სამოქალაქო დაპირისპირებისგან თავის არიდება ან საგარეო საფრთხეების განეიტრალება, რისთვისაც ყველაფერთან ერთად საჭიროა შეიარაღება.<sup>10</sup> ამიტომ ჰობსის მთავარი ფორმულები: „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“ და „ომი ყველას ყველას წინააღმდეგ“, ამიტომ სახელმწიფო და სრულიად საზოგადოება ხდება უსაფრთხოების მთავარი გარანტი. ერის უსაფრთხოება, ანუ ნაციონალური უსაფრთხოება, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებიდან მომდინარეობს. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება რეალიზმის ტრადიციის არსი. ყველა სხვა „თეორიას“ საერთაშორისო ურთიერთობებში თავის სპეციფიკა აქვს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არსებული ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას სიღრმისეუ-

8 Гоббс Томас. Сочинения в двух тома. Том II. Академия наук СССР. Институт Философии. Издательство «Мысль». Москва, 1991. гл. 129.

9 Гоббс Томас. Сочинения в двух томах. Том I. Академия наук СССР. Институт Философии. Издательство «Мысль». Москва, 1989. гл. 374.

10 იქვე. гл. 404

ლად განვიხილოთ ეს ყოველივე, აუცილებელია აღინიშნოს გარკვეული მომენტები. საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური რეალიზმის თეორიის (კლასიკური რეალიზმი; ნეორეალიზმი) გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ლიბერალურ (კლასიკური ლიბერალიზმი; ნეოლიბერალიზმი) თეორიას, რომელიც რეალიზმის „ისტორიულ ალტერნატივად“ არის აღიარებული,<sup>11</sup> ასევე უნდა აღინიშნოს მარქსიზმი (კლასიკური მარქსიზმი; ნეომარქსიზმი)<sup>12</sup>, როგორც კაპიტალისტური გლობალიზაციის ალტერნატივა,<sup>13</sup> გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებიდან საყურადღებოა კონსტრუქტივიზმი, ფემინიზმი, მწვანეთა თეორია და სხვ.

ამავდროულად, კონკრეტული ქვეყნის უსაფრთხოება და გეოპოლიტიკური უსაფრთხოება განუყოფელი არიან. ქვეყნის შიგნით არსებული საფრთხეების გარდა, არსებობს საგარეო საფრთხეებიც, ამიტომ სახელმწიფო იძულებულია საკუთარი არეალის გარდა, გააკონტროლოს „უცხო“ სივრცეც.

აღსანიშნავია ისტორიკოსისა და გეოპოლიტიკის ერთ-ერთი დამაარსებლის ალფრედ ტეიერ მეპერნის დამოკიდებულება გარკვეულ სივრცეზე გავლენის დამყარების აუცილებლობაზე, კერძოდ, თავის ნაშრომში<sup>14</sup> მან განიხილა სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერების საჭიროება, რათა დამყარდეს კონტროლი ზღვებსა და ოკეანეებზე. მისი

11 SutchPeterandJuanitaElias. International relations. The basics. Routledge. London and New-York, 2007. გვ. 64

12 Hobson John M. The State and International Relations. Cambridge University Press, 2000. გვ. 109

13 Scott Burchill, Andrew Linklater, Richard Devetak, Jack Donnelly, Matthew Paterson, Christian Reus-Smit and Jackui True. Theories of International Relations. Third edition. PALGRAVE MACMILLAN, 2005. გვ. 110

14 Mahan A. T. The influence of sea power upon history 1660-1783. Little, Brown and Company. Boston, 1898.

აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ არ შეექმნას პრობლემები სავაჭრო ურთიერთობებში, უნდა მოხერხდეს არა მარტო საკუთარი პორტების გაკონტროლება, არა ამედ უცხო სივრცის სანაპიროები უნდა დაექვემდებაროს კონტროლს.<sup>15</sup> მაგალითისთვის რომი მოჰყავს, რომელიც აკონტროლებდა ზღვას, კართაგენი დაამარცხა და შექმნა ძლიერი იმპერია. ნაპოლეონზე საუბრისას მეჰენი აღნიშნავს, რომ ნაპოლეონი იყო ნიჭიერი მმართველი, თუმცა მას არ გააჩნდა ძლიერი ფლოტი<sup>16</sup>, ანალოგიური შეფასება აქვს მას გაკეთებული ალექსანდრე დიდთან დაკავშირებით, თუმცა მეტად მნიშვნელოვანია ეგვიპტის საკითხი – ვისაც ეკუთვნის ეგვიპტე, მას ეკუთვნის ინდოეთის ოკეანე.<sup>17</sup>

ალფრედ მეჰენის პოზიციიდან გამომდინარე გასაგები ხდება გეოპოლიტიკური უსაფრთხოების არსი, რაც გამოიხატება უცხო სივრცეზე გავლენის დამყარებით. აქედან გამომდინარე, გეოპოლიტიკური უსაფრთხოება ნაციონალური უსაფრთხოების ფუნდამენტად გვევლინება. ფაქტობრივად, მეჰენის აზრით, ექსპანსია ნარმოადგენს ერთგვარ თავდაცვას, თუმცა, რასაკვირველია, ამის უნარი ყველა სახელმწიფოს არ გააჩნია, ეს უფრო ზესახელმწიფოების მონოპოლიაა.

გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად გვევლინებიან ის ქვეყნები, რომლებმაც ვერ მოახერხეს საკუთარ სივრცეზე წესრიგის დამყარება. გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი იზიარებს ტროცკის პოზიციას, რომელიც მან ბრესტ-ლიტოვსკში დააფიქსირა, რომ ყოველი სახელმწიფო დაფუძნებულია ძალადობაზე.<sup>18</sup> აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს გააჩნია მო-

15 იქვე. გვ. 85

16 იქვე. გვ. 36

17 იქვე. გვ. 149

18 Вебер М. Избранные сочинения. «Прогресс». Москва, 1990. გვ. 645

ნოპოლია ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობაზე.<sup>19</sup> მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება ძალადობაზე, ნინააღმდეგ შემთხვევაში იქნება ანარქია. თანამედროვეობაში საფრთხედ გვევლინებიან ის ქვეყნები, რომლებმაც დაკარგეს მონოპოლია ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობაზე, აქედან გამომდინარე, იწყება ანარქია, რომლის შედეგია ნაციონალური უსაფრთხოების ლიკვიდაცია. ბრიტანელი დიპლომატი რობერტ კუპერი თავის ნაშრომში<sup>20</sup> საუბრობს მაქს ვებერის კრიტერიუმზე – სახელმწიფოს ლეგიტიმური მონოპოლია ძალის გამოყენებაა (სომალი; ავღანეთი; ლიბერია) და აღნიშნავს, რომ რეგიონებში, სადაც სახელმწიფო ძალიან სუსტია, ასეთ ვითარებაში ძლიერდებიან არასახელმწიფოებრივი ძალები (მაგალითად, ტერორისტული სინდიკატები). იქმნება საფრთხე განვითარებული ქვეყნებისთვის, შედეგად „ორგანიზებული“ სახელმწიფოები რეაგირებას ახდენენ. ეს არის გეოპოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

თანამედროვეობაში ეკოლოგიურ პრობლემებს არ გააჩნიათ საზღვრები, თუმცა იგივე შეიძლება ითქვას სხვა პრობლემებზე, მსოფლიო მიგრაციაზე, რომლის მამოძრავებელი ძალა, ეკონომიკური პრობლემების გარდა, შესაძლოა იყოს პოლიტიკური და სხვ. ამიტომ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთგვარ აუცილებლობად გვევლინება, ვინაიდან „არაორგანიზებული“ ქვეყნებიდან მომდინარე გამოწვევებმა შესაძლოა დესტაბილიზაცია წარმოშვას გლობალურ დონეზე, რაც განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობების ლიკვიდაციას. ყველაზე თვალსაჩინოა მოსახლეობის ზრდა განვითარებად ქვეყნებ-

---

19 იქვე.

20 Купер Р. Раздор между народами. Порядок и хаос в XXI веке. Московская школа политических исследований, 2010.

ში, რაც იწვევს როგორც ეკოლოგიურ, ასევე სასურსათო კრიზისს. ეკოლოგიური უსაფრთხოება ამ კუთხით ფუნდამენტს წარმოადგენს, რომლის რღვევა იწვევს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კრიზისს, როგორც უკვე აღნიშნულ იქნა, ასეთი მდგომარეობა ყოველგვარ საზღვრებს უარყოფს და გლობალური უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად რჩება.

თანამედროვე სამყაროში გლობალური პრობლემები მწვავდება და მათი გამწვავება ეკოლოგიურ კატასტროფასთან არის დაკავშირებული. ეკოლოგიური უსაფრთხოება, ამავდროულად, დაკავშირებულია დემოგრაფიულ პროცესებთან, შესაბამისად, დემოგრაფიული ციკლების ფენომენი გლობალური პრობლემების მთავარ კატალიზატორად გვევლინება, მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა გლობალური დათბობა.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიული აფეთქების ფენომენით უძველესი დროიდან ინტერესდებოდნენ. ბალანსის შენარჩუნება ყოველთვის პრიორიტეტი იყო. საინტერესოა ძველი ბერძენი ფილოსოფოსების, პლატონისა (ძვ.წ. 427-347) და არისტოტელეს (ძვ.წ. 384-322) დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. პლატონის აზრით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო მოსახლეობის რაოდენობის დადგენა, რაც საჭიროა მინების გადანაწილებისთვის.<sup>21</sup> არისტოტელეს მიაჩნდა, რომ საკუთრების ნორმის დადგენისას, საჭირო იყო შვილების რიცხვის ნორმის განსაზღვრა.<sup>22</sup> ასევე აღსანიშნავია ჩინელი ფილოსოფოსის ხანი ფეის (ძვ.წ. III საუკუნე) პოზიცია. ძველ დროში, როდესაც

21 Сочинения в четырех томах. Т. 3. Ч. 2 / Подобщ. ред. А. Ф. Лосева и В. Ф. Асмуса; Пер. с древнегреч. — СПб.: Изд-во С.-Петерб. ун-та; «Изд-во Олега Абышко», 2007. გვ. 228

22 Политика / Аристотель; [пер. с древнегреч. С. Жебелева]. — М.: РИ-ПОЛ классик, 2016. გვ. 198-199

ხალხი მცირერიცხოვანი იყო, მარაგის სიუხვე შეიმჩნეოდა. საინტერესოა, რომ ხან ფეი, როგორც არისტოტელე, შვილების რაოდენობაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა არისტოტელესგან განსხვავებით, ის კონკრეტულ ციფრსაც მიუთითებს, როდესაც ამბობს, რომ ხუთი შვილი ერთგვარ ნორმად იქცა, აქედან გამომდინარეობს მოსახლეობის სწრაფი ზრდა და შესაბამისად მარაგის ნაკლებობა, რის შედეგადაც იწყება ბრძოლა, არეულობა კი გარდუვალია, რომელიც, ხან ფეის აზრით, ჯილდოებითა და სასჯელით ვერ შეჩერდება.<sup>23</sup> გასაგებია, რომ „ბრძოლაში“ იგულისხმება, პირველ რიგში, მიწებისთვის დაპირისპირება, რომელიც, მოსახლეობის სწრაფი ზრდის შემთხვევაში, დეფიციტი ხდება, რაც შიმშილისა და აჯანყებების მიზეზად გადაიქცევა.

მოსახლეობის სწრაფი ზრდითა და საზოგადოებაზე მის გავლენაზე განსაკუთრებით დაინტერესდნენ ახალ და უახლეს პერიოდში. ეს, პირველ რიგში, გამოწვეულია იმით, რომ მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ტემპები წინა პერიოდებთან შედარებით უფრო აჩქარებულია. ამასთანავე, მწვავდება ეკოლოგიური პრობლემები, მეტიც, მსოფლიო ეკოლოგიური კოლაფსის წინაშე დგას. ამ პერიოდში მეტად საყურადღებოა ინგლისელი სასულიერო პირის თომას რობერტ მალთუსის ნაშრომი „ნარკვევები მოსახლეობის შესახებ“, რომელიც 1798 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომმა იმდენად დიდი გავლენა მოახდინა არაერთ თაობაზე, რომ ჩამოყალიბდა ე.ნ. მალთუზიანიზმი და ნეომალთუზიანიზმი. საყურადღებოა XX საუკუნის მეცნიერთა, კერძოდ, ამერიკელი ბიოლოგის პოლ ერლიხის („დემოგრაფიული ბომბი“), რუსი დემოგრაფის ანატოლი ვიშნევსკის („მსოფ-

---

23 Древнекитайская философия. Собрание текстов в двух томах. Т. 2. М., «Мысль», 1973. გვ. 261-262

ლიო დემოგრაფიული აფეთქება და მისი პრობლემები“, „დემოგრაფიული რევოლუცია“ და სხვ.) და ამერიკელი სო-ციოლოგის ჯეკ გოლდსტოუნის („რევოლუცია და აჯანყება ადრეულ თანამედროვე სამყაროში“) მოღვაწეობა, ხოლო XXI საუკუნეში მოსახლეობასა და ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავება იწვევს ამ ავტორების იდეებით უფრო დაინტერესებას.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება რესურსებზე, ხოლო ამ უკანასკნელის ერთ სულ მოსახლეზე შემცირება იწვევს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დაცემას, რომელსაც მრავალი კატასტოფული შედეგი მოჰყვება, კერძოდ, სილარიბე, შიმშილი, ეპიდემიები, ომები რესურსებისთვის და სხვ. ამავდროულად მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მცდელობა ვლინდება ბუნებრივი გარემოს ექსპლუატაციაზე ორიენტირით, რომელიც შესაძლოა დროებით აუმჯობესებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა ეკოლოგიური უსაფრთხოების რღვევა ბევრად უფრო აუარესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური უსაფრთხოებასთან, ხოლო მთავარი გამოწვევა დემოგრაფიული აფეთქებაა.

## თავი პირველი. მალთუზიანიზმი და დემოგრაფიული ციკლების კონცეფცია

### 1.1. მალთუზიანიზმი და ნეომალთუზიანიზმი

თომას რობერტ მალთუსი (1766-1834) ინგლისელი სა-სულიერო პირი, ეკონომისტი და დემოგრაფია, რომელმაც ჭარბი მოსახლეობის პრობლემის საკითხი წამოჭრა. მას ჰყავს ძალიან ბევრი როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე. ამით მისი პიროვნების მიმართ ინტერესი უფრო იზრდება.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ თომას მალთუსი არ არის პირველი, ვინც ჭარბმოსახლეობის პრობლემაზე საუბრობდა. საყურადღებოა ბრიტანელი ეკონომისტისა და სასულიერო პირის რობერტ უოლესის ნაშრომი,<sup>24</sup> რომელიც გამოქვეყნდა 1753 წელს.

1798 წელს გამოქვეყნდა თ. მალთუსის ნაშრომი „ნარკვევები მოსახლეობის შესახებ“. ნაშრომში რ. მალთუსს განხილული აქვს მრავალი საკითხი: მოსახლეობის სწრაფი ტემპებით გაზრდა და რესურსების დეფიციტი, დიდი ყურადღება მიაქცია ღარიბებთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაშრომის უმთავრესი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის რაოდენობა აუცილებლად განისაზღვრება საარსებო სახსრებით.<sup>25</sup> საინტერესოა მისი დამოკიდებულება მოსახლეობის გაორმაგებასთან დაკავშირებით: იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას რაიმე დაბრკოლება არ ახლავს თან, მოსახლეობას აქვს უნარი გაორმაგდეს ყოველ 25 წელიწადში.<sup>26</sup> მისი

24 Wallace Robert D.D. A Dissertation on the numbers of Mankind, in ancient and modern time. London, 1809.

25 Мальтус Т.Р. Опыт о законе народонаселения. Москва, Директ-медиа, 2014.

26 Ibid. გვ. 9

აზრით, კაცობრიობის გამრავლება შემდეგნაირად მიმდინარეობდა: 1, 2, 4, 8, 16, 32, 64, 128, 256, ხოლო საარსებო სახსრები – 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.<sup>27</sup> აქედან გამომდინარე, მოსახლეობის ზრდის შედეგად იწყება საკვების უკმარისობა, რაც, რასაკვირველია, იწვევს მოსახლეობის შემცირებას, თუმცა კატასტროფის შედეგად. სიღარიბესთან ბრძოლას რაც შეეხება, მალთუსი თვლიდა, რომ შენირულობამ შესაძლოა დროებით შეაჩეროს სიღარიბე, თუმცა მისი აღმოფხვრა ასეთი მეთოდით შეუძლებელია. ამ მხრივ საუბარია ფულად დახმარებაზე, თუმცა, რაც შეეხება მიწის დამუშავებასა და ღარიბებისთვის რესურსის გადაცემას, ამ კუთხით ხდება დახმარება როგორც ღარიბებისთვის, ასევე სრულიად საზოგადოებისთვის, ვინაიდან ეს არის ახალი პროდუქტის წარმოქმნა.<sup>28</sup> საჭიროა მოხმარების პროდუქტის რაოდენობის გაზრდა და არა მხოლოდ ფულადი დახმარების გაზრდა ღარიბებისთვის. მას მოჰყავს ადამისიტის პოზიცია, რომ მუშების უმრავლესობის სამსახურიდან გათავისუფლება და მათი ხელფასის კლება ხდება მოუსავლიანობის გამო, ამასთანავე, მალთუსი ამატებს, რომ, გარდა ამისა, ხელფასის შემცირებაზე მოქმედებს შიმშილი და მოსახლეობის ზრდა.

მალთუსის მოძღვრებას დაუპირისპირდნენ სხვადასხვა იდეის მიმდევრები, მათ შორის მარქსისტები. აღსანიშნავია ა. ი. პოპოვის<sup>29</sup>, ი. ი. რუბინის<sup>30</sup> და მ. ნ. რინდინას<sup>31</sup> ნაშ-

27 Ibid. გვ. 13

28 Ibid. გვ. 43

29 Попов А.Я. Современное малтизянство – человеконенавистническая идеология империалистов. Государственное издательство политической литературы. 1953.

30 Рубин Я.И. Наследники Мальтуза. За фасадом буржуазных теорий. Издательство политической литературы. Москва, 1983

31 Рындина М. Современное малтизянство. Государственное издательство политической литературы. Москва, 1956

რომები. პოპოვი საუბრობს მალთუზიანიზმის პოპულარობის შესახებ რეაქციულ ბიოლოგიურ-სოციოლოგიურ წრეებში, სადაც შიმშილის, ომების და ეპიდემიების ხოტბის შესხმა მიმდინარეობს, თითქოსდა ჭარბი მოსახლეობის პრობლემა არარეალურია და გამოიყენება როგორც იარაღი. რუბინი აღნიშნავს, რომ მალთუსამდე მოსახლეობის სწრაფი ზრდის და მცირე ინტერვალში გაორმაგების შესახებ აქცენტს აკეთებდნენ ბრიტანელი დემოგრაფი და ეკონომისტი რიჩარდ კანტილიონი, იტალიელი ჯამარია ორტესი და მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე ბენჯამინ ფრანკლინი. ასეთი შეფასებით ავტორი აღნიშნავს, რომ მალთუსმა ამ კუთხით სიახლე არ შემოგვთავაზა. ასეთი შეფასება, რასაკვირველია, მალთუსის თეორიის სისუსტეზე არ მიუთითებს, რადგან დემოგრაფიული პრობლემებისადმი ინტერესი ყოველთვის იყო. თუმცა რუბინი ადანაშაულებს მალთუსის თეორიას იდეოლოგიურ დივერსიაში, რომელიც გამოყენებულ იქნა ბურჟუაზიის მიერ. რინდინას აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მალთუსის თეორიის მიმართ ინტერესი გაიზარდა იმიტომ, რომ დასავლეთის ქვეყნებს უნდოდათ ამ თეორიის გამოყენება სხვადასხვა პრობლემის გამართლებისთვის, თითქოსდა მალთუზიანელები ემბრობიან სოციალურ უსამართლობას და ამართლებენ ომებს.<sup>32</sup> ავტორმა ასევე ახსენა თომას მალთუსი, როგორც ბურჟუაზიის მხარდამჭერი, ვინაიდან წარმოშობით იგი გაბატონებულ კლასს მიეკუთვნებოდა. რეალურად მალთუზიანელები საუბრობენ სხვადასხვა მიზეზზე, რომელიც იწვევს სილარიბეს, ომებს, ეპიდემიებს. მალთუსის თეორიამ ჭარბი მოსახლეობის შესახებ კაცობრიობის მთავარ პრობლემად გამოაცხადა მოსახ-

ლეობის ზრდა<sup>33</sup>, თუმცა ფაქტია, რომ თანამედროვეობაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ზუსტად მოსახლეობის ზრდა გვევლინება.

ამ იდეის მოწინააღმდეგები თვლიან, რომ მალთუსის თეორიას იყენებენ იმპერიალისტები თავისი მიზნების მისაღწევად, კერძოდ კი, მშრომელთა მოტყუების მიზნით. თუმცა კონკრეტულად რა იგულისხმება ამ მხრივ, რომელი სათქმელია, ვინაიდან, მათი პოზიციიდან გამომდინარე, მალთუსის თეორია ანტისოციალისტური მოვლენაა, რაც არ არის მართებული, რადგან ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად იმის გამოყენება, რომ მალთუსი ინგლისში მოღვაწეობდა, არაფერს არ ნიშნავს. პოპოვი ამავდროულად მიუთითებს, რომ ინგლისურ ბურჟუაზიას სოციალური კრიზისის დროს ესაჭიროებოდა იდეოლოგიური იარაღი, რათა ხალხთა მასები დაემორჩილებინა. არაა გამორიცხული კონკრეტული იდეა გარკვეულმა ძალებმა იდეოლოგიურ იარაღად გამოიყენონ, თუმცა მალთუსის თეორიის, როგორც ანტისოციალისტური ან კიდევ ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად აღიარება, არ იქნება მართებული. მალთუსის იდეების მოწინააღმდეგები ძირითადად ანტიკაპიტალიზმზე აკეთებენ აქცენტს, ეს კიდევ სხვა საკითხია, ვინაიდან ასეთი პოზიცია ლოგიკურია სოციალისტების მხრიდან. ფაქტია, რომ მისი იდეები, არსებულ პრობლემატიკაზე აქცენტი, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული მომდევნო საუკუნეებში, რეალურ საფრთხეედ იქცა.

მალთუსის თეორიიდან გამომდინარე, გასაგები ხდება ჭარბმოსახლეობის პრობლემა. დღეს ეს პრობლემა რეალ-

33 Попов А.Я. Современное малътизianство \_ человеконенавистническая идеология империалистов. Государственное издательство политической литературы. 1953. гл. 6

ურია და არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტულ იდეოლოგიას ან კლასობრივ კუთვნილებას. ფაქტია, თანამედროვე სამყაროში ეს პრობლემა არსებობს და ამ პრობლემაზე საუბარი და ამ პრობლემის გადაჭრა არ ნიშნავს სოციალურ უსამართლობას. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ განვიხილავთ კაპიტალისტური და სოციალისტური იდეოლოგიების დაპირისპირებას, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მალთუსის თეორიის იდეოლოგიურ იარაღად გამოყენება და სოციალური სამართლიანობის წინააღმდეგ გამოყენებულ იდეად არ უნდა მოვიაზროთ. საინტერესოა, რომ პოპოვი თავის ნაშრომში განიხილავს გეოპოლიტიკურ ფაქტორს, როგორც იმპერიალისტურ აგრესიას უცხო სივრცის დაკავების „უფლებაზე“, სადაც გერმანელი ნაცისტების მოქმედებაზე საუბრობს. გარდა ამისა, განხილულია იტალიისა და იაპონიის აგრესია. გეოპოლიტიკა მოხსენიებულია როგორც რეაქციული სოციოლოგიური დოქტრინა.<sup>34</sup> აქედან გამომდინარე, გეოპოლიტიკური ფაქტორი მოხსენიებულია როგორც იმპერიალისტების იდეოლოგიური იარაღი და არა როგორც უსაფრთხოების გარანტი – „გეოპოლიტიკური უსაფრთხოება“. რეალურად, ჭარბი მოსახლეობა ომის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია (დემოგრაფიული აფეთქება – დემოგრაფიული კატასტროფა; შედეგად შიმშილი, ეპიდემიები, ომები). პოპოვი აკრიტიკებს ამერიკული იმპერიალიზმის ეკონომიკურ პოლიტიკას პუერტო-რიკოში და აღნიშნავს, რომ თითქოსდა, აშშ-ს აზრით კუნძულის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პუერტო-რიკოს მოსახლეობა 50 წლის განმავლობაში გაორმაგდა.<sup>35</sup> სინამდვილეში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ნამდვილად გვევლინება „გაორმაგება მცირე ინტერვალში“,

34 იქვე. გვ. 125

35 იქვე. გვ. 149

ორგანულია, რომ საჭირო ხდება წარმოების გაორმაგება, რაც ეკოლოგიის გაურესებას იწვევს და შესაბამისად, ადამიანის ცხოვრების ხარისხზე უარყოფითად აისახება. თუ არ მოხდება წარმოების გაორმაგება, რათა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებები, შედეგად გაიზრდება სილარიბის დონე, უმუშევართა რიცხვი, შიმშილისა და ომის საშიშროება და ა.შ. ომებთან დაკავშირებით რუბინმა განიხილა ფრანგი სოციოლოგისა და დემოგრაფის გასტონ ბუტულის პოზიცია.<sup>36</sup> ამ მხრივ საყურადღებოა ბუტულის ნაშრომები „ტრაქტატი პოლემოლოგიის შესახებ. ომების სოციოლოგია“, „ლია ნერილი პაციფისტებს“ და „ომის გამოწვევა. ომების და რევოლუციების ორი საუკუნე“, რომლებშიც ავტორმა განიხილა 300-ზე მეტი შეიარაღებული კონფლიქტი. მეორე მსოფლიო ომს იგი მოიხსენიებს როგორც პრიმიტიულ ბიოლოგიურ კონფლიქტს, თავის ნაშრომში „ჭარბმოსახლეობა“, ვინაიდან ომი მას ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია, შესაძლოა ეს ყოველივე რუბინისთვის საკმარისია, რომ ბუტული მალთუზიანელთა რიგებში შეიყვანოს.<sup>37</sup>

ლისიცინი და პერეკოპსკაია თავის ნაშრომში<sup>38</sup> ძირითად აქცენტს აკეთებენ ჯანმრთელობის დაცვაზე, თუმცა საინტერესოა მათი პოზიცია დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების მხრივ. მათი აზრით, აუცილებელია კოლონიალიზმის, და ნეოვოლონიალიზმის შედეგების განადგურება, ხოლო ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკა ეყრდნობა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ

36 Рубин Я.И. Наследники Мальтуса. За фасадом буржуазных теорий. Издательство политической литературы. Москва, 1983. გვ. 27

37 იქვე. გვ. 29

38 Лисицын Ю.П. Перекопская Л.Г. „Демографический взрыв“ и неомальтизианство. Медицина. Москва, 1979.

გარდაქმნებს.<sup>39</sup> ამ კუთხით დემოგრაფიული პოლიტიკა გვევლინება როგორც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მოსახლეობის აღნარ-მოების რაციონალურ ტიპს აყალიბებს. თუმცა ავტორებისთვის მიუღებელია ბურჟუაზიული დემოგრაფიული პოლიტიკა, რაც, ბუნებრივია, ვინაიდან ისინი სოციალისტური ტენდენციის მიმდევრები არიან, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მალთუსის თეორიისა და კაპიტალიზმის გაიგივება მიუღებელია.

მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულების (მათ გააკრიტიკეს მალთუსის პოზიცია) გარდა, ასევე ყურადღებას იპყრობს ვ. ი. ლენინის „მუშათა კლასი და ნეომალთუზიანიზმი“,<sup>40</sup> რაც მიუთითებს იმაზე, რომ სოციალისტურ წრეებში მალთუსის თეორიას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ლენინი საუბრობს ნეომალთუსიანელებზე, როგორც შობადობის რეგულირების მომხრეებზე, თუმცა მიაჩნია, რომ ისინი არ ზრუნავენ მუშათა კლასზე, არამედ მათი უმთავრესი ორიენტირი ნაკლები ბავშვების გაჩენაა და ამ მხრივ საშუალო ფენის მდგომარეობის გაუმჯობესება. სინამდვილეში შობადობის რეგულირება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-მანეთს არ გამორიცხავს, პირიქით, აუცილებელ სინთეზად გვევლინება.

შობადობის რეგულირების გარეშე, რომლის შედეგი იქნება მოსახლეობის სწრაფი ზრდა, გაორმაგების საშიშ-როება, მუდმივ ხასიათს მიიღებს ქარხნების დაარსება, სოფლის მეურნეობისთვის მიწების გამოყენების გაზრდა, რაც, რასაკვირველია, მუდმივი ვერ ექნება. ამ შემთხვევაში

39 იქვე. გვ. 149

40 Ленин В.И. Полное собрание сочинений. Издание пятое. Издательство политической литературы. Москва, 1973. გვ. 255

გასათვალისწინებელია ეკოლოგიური ფაქტორი, ვინაიდან ყველაფერს აქვს ლიმიტი.

მიუხედავად ამისა, XX საუკუნეში მალთუსის თეორიის მიმართ ინტერესი იზრდება. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო გამოწვეული პირველი და მეორე მსოფლიო ომის ფენომენით. დიდი როლი შეასრულეს „ანალების“ სკოლის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით კი ფერნან ბროდელმა<sup>41</sup> და პიერ შონიუმ.<sup>42</sup> აღსანიშნავია, რომ ს. ნეფიოდოვი თავის ნაშრომში საუბრობს ერნესტ ლაბრუსის, ემანუელ ლე რუა ლადიურის („ლანგედოკის გლეხები“), პიერ გუბერისა და ჟორჟ დიუბის როლის შესახებ.

მალთუსი ძირითადად სილარიბეზე აკეთებდა აქცენტს. თუმცა თანამედროვეობაში, სილარიბის გარდა, მოსახლეობის სწრაფი ზრდა იწვევს სხვა მრავალ პრობლემას, როგორიცაა: ეკოლოგიის განადგურება, გარემოს დაბინძურება, რომელიც გლობალური უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად იქცა. შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ნეომალთუზიანელების ორიენტირი უფრო მკაცრი ზომების მიღებაა, ვიდრე ამას ქადაგებდა მალთუსი, რომელიც აქცენტს აკეთებდა თავშეკავებაზე, მაგალითად, თავშეკავება დაუფიქრებელ ქორნინებაზე, რაც გამრავლების ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს.<sup>43</sup>

ამავდროულად, XX საუკუნეში მსოფლიოს მოსახლეობა თითქმის ორჯერ გაორმაგდა (დაახლოებით 1920 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 2 მილიარდ ადამიანს

41 Бродель Ф. Структуры повседневности: возможное и невозможное. Материальная цивилизация, экономика и капитализм, XV-XVIII вв. Том 1. Издательство «Прогресс», Москва, 1986.

42 Шоню П. Цивилизация классической Европы. Екатеринбург, У-Фактория, 2005.

43 Мальтус Т.Р. Опыт о законе народонаселения. Москва, Директ-медиа, 2014. გვ. 178

შეადგენდა). თომას რობერტ მალთუსის პერიოდთან შედარებით ეკოლოგიის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რაც ორგანულია. შესაბამისად, იწყება მალთუსის იდეების გარკვეულწილად გარდაქმნა. აღსანიშნავია 1921 წელს მარგარეტ სენგერის მიერ დაარსებული „შობადობის კონფრონტი“ ამერიკული ლიგა“, რომლის პირველი კონფერენცია იმავე წელს ნიუ-იორკში ჩატარდა<sup>44</sup>. ორგანიზაციის მთავარი სტრატეგია იყო შობადობის კონფრონტის კლინიკების დაარსება, შობადობის რეგულირების იდეების გავრცელება. სენგერსა და მის მიმდევრებს დაუპირისპირდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც მას ანტინატალისტად და ანტიეალად თვლიდა, ვინაიდან სენგერმა არ აღიარა ქალის როლი როგორც „სახლზე“ ორიენტირებული და მრავალი შვილის გაჩენაზე ორიენტირებული.<sup>45</sup> წინააღმდეგობის მიუხედავად მარგარეტ სენგერმა და მისმა მიმდევრებმა უდიდესი როლი შეასრულეს შობადობის რეგულირების საქმეში.

ამგვარად, როგორც უკვე აღინიშნა, პირველი და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მალთუსის თეორიის მიმართ ინტერესი ბევრად უფრო იზრდება. ჭარბი მოსახლეობის გამო გამოწვეულმა ომებმა, ეპიდემიებმა და სრულიად დემოგრაფიულმა კატასტროფამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მალთუსის პოზიცია ჭარბმოსახლეობის პრობლემის შესახებ მართებულია.

ყურადღებას იპყრობს ამერიკელი ბიოლოგის პოლერლინის ნაშრომი „დემოგრაფიული ბომბი“, რომელშიც ავტორმა განიხილა მოსახლეობის ზრდის ტემპები, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ჭარბი მოსახლეობა შესაძლოა დამახა-

44 Encyclopedia of Birth Control. California, ABC CLIO, 2001. გვ. 12-13.

45 იქვე. გვ. 59

სიათებელი გახდეს ნებისმიერი ქვეყნისთვის, შესაბამისად კი, ასეთი ქვეყანა ვერ შეძლებს საკმარისი საკვების წარმოებასა და საკუთარი მოსახლეობას გამოკვებას.<sup>46</sup> ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, რთულია საუბარი სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, როდესაც საკითხი სასურსათო კრიზისს ეხება. საყურადღებოა ფაქტი, რომელიც ავტორმა აღნიშნა: მხოლოდ 10 ქვეყანა აწარმოებდა მეტ საკვებს, ვიდრე მოიხმარდა: აშშ, კანადა, ავსტრალია, არგენტინა, საფრანგეთი, ახალი ზელანდია, ბირმა (თანამედროვე მიანმარი), ტაილანდი, რუმინეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.<sup>47</sup> ეს არის 1960-იანი წლების მდგომარეობა, სასურსათო კრიზისს საფუძველი უკვე ჩაეყარა. ერლიხი საუბრობს ბალანსის შესახებ საკვებსა და მოსახლეობას შორის. რასაკვირველია, ბალანსი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საყურადღებოა ასევე ტემპერატურული ბალანსი,<sup>48</sup> რომელიც დარღვეულია ატმოსფეროს დაბინძურების გამო. ამ ნაშრომს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად განხილულია გარემოს დაბინძურება, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამახასიათებელია ნეომალთუზიანელობისთვის. ამაზე მიუთითებს – ძალზედ ბევრი ავტომობილი, ძალზედ ბევრი ქარხანა, ძალზედ ბევრი პესტიციდი<sup>49</sup> და რა თქმა უნდა ძალზედ ბევრი ადამიანი.

ამ საკითხების კვლევისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარეტ ჰარდინს. მან თავის სტატიაში<sup>50</sup> გაიზიარა

46 Ehrlich Paul R. The Population Bomb. Population control or race to oblivion? New York, Ballantine Books, inc, 1969. გვ. 24

47 იქვე. გვ. 38

48 Ibid. გვ. 60

49 Ibid. გვ. 66

50 Hardin Garrett. The Tragedy of the Commons. American Association for the Advancement of Science. Science, New Series, Vol. 162, No. 3859 (Dec.

მალთუსის პოზიცია და აღნიშნა, რომ აუცილებელია ბუნებრივი მატების შეჩერება, ვინაიდან მუდმივად რესურსების ზრდა შეუძლებელია. ავტორმა მაგალითისთვის მოიყვანა ბიოლოგიური ფაქტები, კერძოდ, საკვების დღიური ნორმა, თუ რამდენი კალორიის მიღება არის აუცილებელი დღის განმავლობაში და რაც მთავარია, მოსახლეობის ზრდის შემთხვევაში საკვების ოდენობა კლებულობს, რაც ორგანულია. თუმცა გასათვალისწინებელია ერთგვარი ვერსია, რომ, თუ მოსახლეობა იზრდება, ე. ი. მან თავის მაქსიმუმს არ მიაღწია. მაგრამ იქვე ჰარდინი აღნიშნავს, რომ ყველაზე სწრაფად მზარდ ქვეყნებს უფრო ახასიათებთ უტედურებები. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ საქმე არა მარტო მაქსიმუმზეა, არამედ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად დიდია გარემოზე ზეწოლა, რაც ჰარდაპირ ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან არის კავშირში. ჰარდინს მოჰყავს მწყემსის მაგალითი, რომელსაც იმდენი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ყოლა შეუძლია, რამდენსაც იგი გამოკვებავს, თუმცა, თუ იგი საქონლის რაოდენობის გამრავლებას გადაწყვეტს, რათა მეტი მოგება მიიღოს, რაც, ერთი მხრივ, დადებითი პროცესია, თუმცა უარყოფითია მეტი რესურსის აუცილებლობა, რაც იწვევს გარემოზე ზეწოლას.

რაც შეეხება დაბინძურებას, ჰარდინი ამ მდგომარეობას მოსახლეობის რაოდენობასთან აკავშირებს,<sup>51</sup> ამ მხრივ საინტერესოა, რომ იგი აქცენტს მოსახლეობის სიმჭიდროვეზე აკეთებს, ასევე ბავშვების რაოდენობაზე ოჯახში.

გარეტ ჰარდინის აზრით, ჭარბი მოსახლეობის პრობლემა ტექნიკური გადაჭრით ვერ მოხერხდება. ერთადერ-

13, 1968). გვ. 1243-1248

51 იქვე. გვ. 1245

თი გამოსავალი არის შობადობის რეგულირება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1968 წელს აუ-რელიო პეჩეს მიერ დაარსებულ „რომის კლუბს“, რომლის ინიციატივით 1972 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი „ზრდის ლიმიტები“, სადაც ძირითად ორიენტირად მოსახლეობის ზრდა და ეკოლოგიური უსაფრთხოება გვევლინება. განხილულია მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის ტემპები და მოსახლეობის ზრდის ტემპები, საკვების წარმოება, რესურსების მარაგები, გარემოს დაბინძურების გავლენა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და სხვ. ამ ფუნდამენტური საკითხების განხილვისას იყო მცდელობა სამყაროს მოდელის შექმნისა, რომელშიც მოსახლეობის სტაბილიზაცია რეალური გახდება.<sup>52</sup>

არსებული საკითხების აქტუალობას ადასტურებს 2004 წელს გამოქვეყნებული „ზრდის ლიმიტები. 30 წლის შემდეგ“.<sup>53</sup> ფაქტია, რომ მოსახლეობის ზრდის სწრაფ ტემპებთან ერთად, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ინტერესი დემოგრაფიული პროცესების რეგულირების და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით იზრდება.

## 1.2. დემოგრაფიული ციკლების თეორია

დემოგრაფიულ ფაქტორს უდიდესი გავლენა აქვს ისტორიულ პროცესზე. ეს ყოველივე არ არის გასაკვირი, რადგან ისტორიაში მთავარი აქტორი ადამიანია. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პოპულაციის რაოდენობის ცვლილებას. ეს ფაქტი პირდაპირ კა-

52 МедоузДонеллаХ., МедоузДеннисЛ., РэндерсЙорген, БеренсПИВильям. Предельроста. Москва, Изд-воМГУ, 1991. გვ. 168

53 Медоуз Донелла, Рэндерс Йорген, Медоуз Деннис. Предельроста. 30 летспустя. Москва, ИКЦ «Академкнига», 2007.

ვშირშია ეკოლოგიურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან.

დემოგრაფიული ციკლების მნიშვნელობა ძალზედ კარგად აქვს განხილული ისტორიკოსს სერგეი ნეფიოდოვს, თავის ნაშრომში – „დემოგრაფიული ციკლების კონცეფცია“. მისი აზრით, ჭარბი მოსახლეობის კვლევა ახალ დროში დემოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელის თომას მალთუსის სახელთან არის დაკავშირებული<sup>54</sup>, გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ პრობლემით უძველესი დროიდან ინტერესდებოდნენ. მოსახლეობის ზრდა დაკავშირებული იყო სიღარიბესთან, აჯანყებებთან. ს. ნეფიოდოვი აქცენტს აკეთებს XIX საუკუნის ინგლისელ ეკონომისტებზე, მალთუსა და რიკარდოზე, რომლებიც საუბრობდნენ მოსახლეობის რაოდენობის განმეორებით რყევებზე, ანუ დემოგრაფიულ ციკლებზე. მოსახლეობის ზრდა იწვევს საკვები პროდუქტების შემცირებას, რასაც შედეგად მოსდევს ფასების ზრდა და მოხმარების შემცირება მოსახლეობაში, ამავდროულად მოხმარების შემცირება იწვევს მოსახლეობის ზრდის შეჩერებას და მის ისეთ დონემდე შემცირებას, როდესაც საკვები საკმარისია, ხელფასები კვლავ იზრდება, მოხმარება მატულობს, თუმცა პროცესი კვლავ მეორდება.<sup>55</sup> „დემოგრაფიული ციკლების კონცეფციის“ ავტორს პირველი მსოფლიო ომის მაგალითი მოჰყავს, სადაც ჯონ მეინარდ კეინსის და პიტირიმ სოროკინის პოზიციას ეყრდნობა – პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ევროპაში შეიმჩნეოდა ჭარბი მოსახლეობა, რამაც გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი და რევოლუცია რუსეთში. სასურსათო წონასწორობის აღდგენა ასეთ შემთხვევაში ხდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირე-

54 Нefедов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург. Издательство УГГУ, 2007. გვ. 7

55 იქვე

ბით – შიმშილის, ეპიდემიების, ომების მეშვეობით. უხილავმა დირიჟორმა, „ბატონმა შიმშილმა“, თავისი საქმე გააკეთა და აგრძელებს მის კეთებას. თ. მალთუსის თეორია თუ არა დეტალებში, ყოველ შემთხვევაში მის ძირითად თეზისებში მტკიცდება:<sup>56</sup> ეს არის XX საუკუნის გამოჩენილი სოციოლოგის პიტირიმის სოროკინის პოზიცია. ამ კუთხით არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მალთუსის იდეებით განსაკუთრებით დაინტერესდნენ პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის პერიოდში. ზემოთ აღნიშნული პოზიციებიდან გამომდინარე, ეს იყო მოსახლეობის სწრაფი ზრდის შედეგი, ადგილი ჰქონდა დემოგრაფიულ ციკლებს, რომელთა გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი იყო ლოგისტიკური განტოლების გამოყენება, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის ზრდის და თავდაპირველად უხვი რესურსის შემთხვევაში მოხმარება არ კლებულობს, მაგრამ შემდგომ რესურსის დეფიციტის დროს მოხმარება კლებულობს. ამ მხრივ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ამერიკელმა ბიოლოგმა და დემოგრაფმა რაიმონდ პირლმა (1879-1940) თავის ნაშრომში<sup>57</sup>, რომელშიც მას აღუირის დემოგრაფიული პროცესები აქვს განხილული. აღსანიშნავია, რომ ს. ნეფიოდოვმა აქცენტი გააკეთა ევროპისა და ჩინეთის დემოგრაფიულ ციკლებზე. ამ შემთხვევაში მალთუსის გარდა, რომელმაც ინგლისში მოხმარების დაცემა დააკავშირა მოსახლეობის ზრდასთან, საინტერესოა ფრანგი სოციოლოგის ფრანსუა სიმიანის მიერ ფასების მერყეობის შესწავლა, სადაც ასევე ფიგურირებენ ციკლები, რომლის იდეები გარკვეულწილად განიხილა ფრანგმა ისტორიკოსმა ერნესტ ლაბრუსმა, თუმცა მათი ორიენტირი დემოგრაფია არ

56 Сорокин П.А. Голод как фактор: влияние голода на поведение людей, социальную организацию и общественную жизнь. ООО «Анбур», Сыктывкар, 2014. гл. 256

57 Pearl R. The biology of population growth. New York, 1925

არის. მათგან განსხვავებით, გერმანელმა ისტორიკოსმა და ეკონომისტმა ვილჰელმ აბელმა, რომელმაც გაიზიარა ის თეორია, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის ზრდა იწვევს ფასების გაზრდასა და ხელფასის კლებას, ხოლო მოსახლეობის შემცირება მის საპირისპირო პროცესებს.<sup>58</sup> ვილჰელმ აბელის უდიდეს წვლილზე ს. ნეფიოდოვმა და პ. ტურჩინმა აქცენტი ერთობლივ ნაშრომშიც გააკეთეს.<sup>59</sup> ვ. აბელის მთავარ მიღწევად მარცვლეულის ფასების ტალღისებრი მოძრაობის გამოვლენა იყო, ადგილი ჰქონდა სამ ტალღას ან „საუკუნეობრივ ტენდენციას“, რაც საბოლოოდ იხსნება მალთუსისა და რიკარდოს თეორიის შედეგად: მოსახლეობის ზრდა – იჯარის საფასურის – მარცვლეულის ფასის – სამრეწველი საქონლის ფასის გაზრდა.<sup>60</sup> მან დაადგინა, რომ ევროპაში XIII საუკუნესა და XIV საუკუნის დასაწყისში იყო ფასების ზრდის პერიოდი, რომელიც შემდგომ შეიცვალა ფასების დაცემით XV საუკუნეში და ხელახალი ზრდით XVI საუკუნეში.<sup>61</sup> ამ საუკუნეობრივ ტენდენციაშიც განხილულია მოსახლეობის ზრდასთან ერთად არსებული ფასების ზრდა და მოსახლეობის შემცირებასთან ერთად კი ხელფასის ზრდა და ფასების დაცემა. მეტად საინტერესოა ინგლისელი ისტორიკოსის მაიკლ პოსტანის მოსაზრება, რომელიც საუბრობს XIV საუკუნის დასაწყისის ევროპაზე, სადაც უკვე შეიმჩნეოდა ჭარბი მოსახლეობის პრობლემა, სოფლის მეურნეობას არ გააჩნდა უნარი

58 Нефедов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург. Издательство УГГУ, 2007. გვ. 13

59 Турчин П.В. Нефедов С.А. Вековые циклы. Oxford and Princeton: Princeton University Press, 2009.

60 იქვე

61 Нефедов С.А. Война и общество. Факторный анализ исторического процесса. Издательский дом «Территория будущего». Москва, 2008. გვ. 12-13

გამოეკვება მოსახლეობა.<sup>62</sup> ს. ნეფიოდოვს მაგალითისთვის მოჰყავს ფრანგი ისტორიკოსის როლან მუნიეს ნაშრომი, რომელშიც აღნიშნულია საუკუნეობრივი ტენდენციების დემოგრაფიული ბუნება. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში შეიმჩნეოდა მოსახლეობის ზრდა და თავისუფალი მიწების ათვისება, რომელიც 1348 წლის პანდემიის შედეგად იქნა მიტოვებული, თუმცა მოსახლეობის ზრდასთან ერთად, როდესაც დაკავებულ იქნა თავისუფალი მიწები, იწყება ფასების ზრდა და ხელფასის დაცემა, შედეგად XVI საუკუნის მიწურულს ჭარბი მოსახლეობის ნიშნებს აქვს ადგილი, გახშირდა შიმშილობა, ეპიდემიები, მოსახლეობის ზრდა შეჩერდა.<sup>63</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ზრდის შედეგად გამწვავებული პრობლემები განაპირობებს მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას. ეს ყოველივე ხდება აჯანყებების, ომების, ეპიდემიებისა და შიმშილის ხარჯზე.

ფრანგი ისტორიკოსი ფერნან ბროდელი თავის ნაშრომში<sup>64</sup> საუბრობს ხალხის რაოდენობის უჩვეულო გაზრდის შესახებ, დემოგრაფიულ მიქცევა-მოქცევაზე. XV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე მოსახლეობა ხან იზრდება, ხან მცირდება და ყველაფერი იცვლება, იზრდება მოსახლეობა, წარმოება, მანუფაქტურები, ქალაქების მასშტაბი, ამასთანავე, შესამჩნევია ომების, დაპირისპირებების, თავდასხმებისა და ყაჩაღობის ზრდა.<sup>65</sup> ასევე საუბარია მზარდი დემოგრაფიული გადატვირთვის შესახებ, რომლის

62 Нefедов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург. Издательство УГГУ, 2007. გვ. 14

63 იქვე. გვ. 15

64 Бродель Ф. Структуры повседневности: возможное и невозможное. Материальная цивилизация, экономика и капитализм, XV-XVIII вв. Том 1. Издательство «Прогресс», Москва, 1986.

65 იქვე. გვ. 42

შედეგადაც საზოგადოებას ეკარგება უნარი გამოკვებოს საკუთარი მოსახლეობა, ცხოვრების დონე დემოგრაფიულ ზრდასთან ერთად კლებულობს, იზრდება ლარიბთა და უსახლკაროთა რიცხვი, ხოლო ეპიდემიები და შიმშილი აღადგენენ წონასწორობას და რაოდენობას არასაკმარ კვებას შორის, მუშახელის მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ფერნან ბროდელმა აღნიშნა დასავლეთში მოსახლეობის გაზრდის სამი დიდი პერიოდი: მოსახლეობის ხანგრძლივი ზრდა 1100 წლიდან 1350 წლამდე, 1450 წლიდან 1650 წლამდე, 1750 წლიდან.<sup>66</sup> ფერნან ბროდელის მიერ ამ პერიოდების შედარებისას მან დაადგინა, რომ 1350-1450 წლებში ადგილი ჰქონდა მკვეთრ ვარდნას, ხოლო შემდგომ 1650-1750 წლებში ზრდის ტემპების შეჩერებას, ვიდრე ვარდნას. ამასთანავე, ავტორმა აქცენტი გააკეთა, რომ ყოველი დავარდნა გარკვეული რაოდენობის პრობლემებს აგვარებს, რომლის შედეგადაც გადარჩენილების მდგომარეობა უმჯობესდება. ნაშრომში აღნიშნულია „შავი სიკვდილის“ შემდგომ მოსახლეობის შემცირების შედეგები: გადარჩენილთა ცხოვრების დონე და ხელფასი იზრდება, თუმცა მოსახლეობა ძალიან მაღე კვლავ იზრდება და უკვე 1560-1580 წლებში საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში მოსახლეობა ისევ მრავალრიცხოვანია. აღსანიშნავია, რომ ფერნან ბროდელმა ევროპის გარდა ანალოგიური პროცესები ინდოეთსა და ჩინეთში დააფიქსირა.<sup>67</sup>

ზემოთ აღინიშნა, რომ ს. ნეფიოდოვმა ასევე გააკეთა აქცენტი ჩინეთის დემოგრაფიულ ციკლებზე, კერძოდ, რუსი ისტორიკოსის, სინოლოგისა და დემოგრაფის ე. იაშნოვის ცნობებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ჩინეთში შიდაომების ციკლურობა დაკავშირებულია დემოგრაფიულ

66 Ibid. გვ. 43

67 Ibid. გვ. 44-45

ფაქტორთან. ამ შემთხვევაშიც მოსახლეობის რიცხვის შემცირების შედეგად, რომელსაც იწვევდა ომები, შიმშილი და ეპიდემიები, იწყება დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება, თავისუფალი მიწების სიუხვესთან ერთად მიწის არენდამ დაიკლო. ეს პროცესი, რასაკვირველია, აუმჯობესებდა გლეხების მდგომარეობას, აქედან გამომდინარე, იწყება მოსახლეობის ბუნებრივი მატება, საბოლოო ჯამში, მოსახლეობა იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე პროდუქცია. შედეგად იწყება ფასების ზრდა, მიწების დეფიციტი, ღარიბთა რაოდენობის ზრდა, იწყება სამოქალაქო ომი, ქვეყნის დაშლა, სრულიად ყველა მონაპოვრის სრული განადგურება, მასობრივი შიმშილი. აღსანიშნავია, რომ, ე. იაშნოვის აზრით, დემოგრაფიული ციკლები განსაზღვრავენ არა მარტო ჩინეთის, არამედ სრულიად კაცობრიობის ისტორიას.<sup>68</sup> ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევროპასა და აზიაში ეს პროცესები თანაბრად მიმდინარეობდა და ანალოგიური მახასიათებლები გააჩნდა.

აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს დემოგრაფიული ციკლების ფაზებს – პირველი ფაზისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის ზრდა, შემდგომ მოსახლეობის კლება, რაც ძირითად შემთხვევაში უმძიმეს ფორმებში გარდაიქმნება, რომელიც გამოწვეულია ცხოვრების ხარისხის დაცემით, ანუ ორ ძირითად ფაზას აქვს ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიული ციკლების ანალიზისას ნეფიოდოვი დაეყრდნო ემანუელ ლე რუა ლადიურის ნაშრომს,<sup>69</sup> რომელშიც გამოყოფილია ოთხი ფაზა: ამ შემთხვევაში პირველია, როდესაც მოსახლეობის სიმჭიდროვე

68 Нefедов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург. Издательство УГГУ, 2007. გვ. 12

69 იქვე გვ. 47

სიდიდით არ გამოირჩევა, შესაბამისად, მიწების სიუხვეა, სურსათის ფასები დაბალია, მოხმარების უნარი იზრდება – ეს არის წინა ციკლის შედეგი, რომლის შედეგადაც მოსახლეობა შემცირდა: შიმშილის, ეპიდემიების, ომების ხარჯზე. მეორე ფაზის შემთხვევაში მოსახლეობა სწრაფად იზრდება და ამასთანავე, იწყება ფასების ზრდა, მესამე ფაზის დროს მოსახლეობის ზრდა შენელებულია ან საერთოდ შეჩერებული, იზრდება გადასახადები. მეოთხე ფაზისთვის დამახასიათებელია შიმშილი და ეპიდემიები. ეს ყოველივე გამოწვეულია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დაცემით, რაც ამავდროულად იწვევს დესტაბილიზაციას.

### **1.3. დემოგრაფიულ-სტრუქტურული თეორია და დემოგრაფიული აფეთქების ფენომენი**

არსებული საკითხების განხილვისას დიდი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ-სტრუქტურულ თეორიას, რომელიც ამერიკელი ისტორიკოსისა და სოციოლოგის ჯეკ გოლდსტოუნის სახელთან არის დაკავშირებული. ეს ყოველივე გადმოცემულია მის ნაშრომში,<sup>70</sup> რომელშიც მაღლა სის თეორიისა და ნეომაღლთუსიანელობისგან განსხვავებით, გოლდსტოუნმა ინგლისის, საფრანგეთის, თურქეთისა და ჩინეთის მაგალითზე განიხილა კრიზისები, რომლებიც დემოგრაფიულ ფაქტორთან არიან მჭიდრო კავშირში, მეტიც, შეიძლება ითქვას, დემოგრაფიულ ციკლებთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი აქცენტი რევოლუციებზე კეთდება, კერძოდ, გოლდსტოუნმა დემოგრაფიულ ციკლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახელმ-

---

70 Goldstone Jack A. Revolution and Rebellion in the Early Modern World. Population Change and State Breakdown in England, France, Turkey and China, 1600-1850. Routledge. New York, 2016.

წიფო სტრუქტურებს, ელიტასა და „დანარჩენ“ მოსახლეობას, უფრო სწორად, მათ ურთიერთქმედებას მოსახლეობის გაზრდის შემთხვევაში.<sup>71</sup> ელიტაში მოიაზრებიან მდიდარი ოჯახები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები, ამიტომ, გოლდსტოუნის აზრით, სახელმწიფოსა და ელიტას შორის ურთიერთობა ყოველთვის პრობლემატური იყო, განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>72</sup> ელიტა ცდილობს შეინარჩუნოს თავისი გავლენა, რათა არ გაძლიერდეს სახელმწიფო სტრუქტურები იმდენად, რომ საფრთხე შეექმნას ელიტას. ამავდროულად მოსახლეობა დამოკიდებული იყოს სახელმწიფოზე, როგორც რეგულირების მთავარ ძალაზე – გზებისა და ხიდების მოწესრიგება, პურის ფასების კონტროლი (ეკონომიკის განვითარება) და რაც მთავარია, მოსახლეობის დაცვა როგორც საგარეო მტრისგან, ასევე ბანდიტიზმისგან. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გოლდსტოუნი აღნიშნავს სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ელიტის ექსპლუატაციისგან დაცვის შესახებ. მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს არ აქვს უნარი სრულყოფილად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილებები და ამასთანავე, ვერ მოხერხდეს დიალოგი ელიტასთან. ეს ყოველივე შესაძლოა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყოს სახელმწიფოსა და ელიტას შორის დაძაბულობის. რესურსების გადანაწილების საკითხმა შესაძლოა გამოიწვიოს კრიზისი არსებულ სახელმწიფოში. უპირველეს ყოვლისა, ეს ხდება, როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნია უნარი უზრუნველყოს მოსახლეობის უსაფრთხოება და იწყება ელიტის გააქტიურება.

აღსანიშნავია გოლდსტოუნის პოზიცია 1500-1850 წლებში ჩინეთის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის

71 იქვე. გვ. 5-8

72 იქვე. გვ. 6

ქვეყნებში არსებულ კრიზისებთან დაკავშირებით.<sup>73</sup> მისი აზრით, ეს ყოველივე ერთი ძირითადი პროცესის ნაწილია, ხოლო ამ „კრიზისული პროცესის“ მთავარი მიზეზი არის მოსახლეობის ზრდა, რომელიც განაპირობებს ფასების რყევებს და რესურსების ცვლილებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გადანაწილებაზე აისახება. ავტორი საუბრობს ოთხ კრიტიკულ ტენდენციაზე, მათ შორის: მოსახლეობის ზრდის შედეგად გადასახადების გაზრდა, ელიტის შიგნით ხშირი კონფლიქტები (გავლენის გადანაწილება; კრიზისი ისახება ყველა სტრუქტურაზე), ხელფასების კლება, მოსახლეობაში ახალგაზრდების პროცენტის ზრდა, სიღარიბის გავრცელება, მოსახლეობის ქალაქებში გადასახლება, შიმშილი და ა.შ. სახელმწიფო უძლიურია ამ პრობლემების გადაჭრისას. შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობა იკარგება, იწყება რეფორმების აუცილებლობა, რაც საბოლოოდ ხდება „ბრეიდაუნი“, რომელიც შესაძლოა სამოქალაქო ომში გადაიზარდოს. ამ მხრივ გოლდსტოუნისა და ნეომალთუზიანელების პოზიცია იდენტურია, მასში გადმოცემულია დემოგრაფიული ციკლების თეორია. გარდა ამისა, ავტორმა გამონაკლისის მხრივ ისაუბრა მოსახლეობაში ახალგაზრდების პროცენტის ზრდის შესახებ, რაც ზემოთ იქნა ხსენებული, ამიტომ ეს ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს მალთუსის თეორიასთან მიმართებაში, რადგან აქცენტი კეთდება სოციალურ დიფერენციაციაზე. ფაქტია, რომ სახელმწიფოების დაშლა მოსახლეობის ზრდასთან მჭიდრო კავშირშია, ეს იწვევს მრავალ პრობლემას, რომლის გადაჭრის საშუალება არ გააჩნია სახელმწიფო სტრუქტურებს. მათ ვერ გაუძლეს ერთგვარ დემოგრაფიულ ზენოლას.

გარდა ამისა, მოსახლეობის ზრდა აისახება ელიტაზე, მის მდგომარეობასა და გავლენაზე. ორგანულია, რომ იზ-

73 Ibid. გვ. 459

რდება „ელიტის რაოდენობა“, ამიტომ იწყება ბრძოლა გავლენისთვის, კონკურენცია ძლიერდება. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არსებულ კრიზისს ემატება ელიტის შიგნით დაპირისპირება, რაც, რასაკვირველია, უფრო ამძაფრებს კრიზისულ მდგომარეობას. ასევე მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც განაპირობებს მოსახლეობის ზრდა, არ შედის ელიტის ინტერესებში, ვინაიდან ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია რესურსების გადანაწილებაზე, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ელიტის ნარმომადგენლების სიმრავლე ასევე რთული პროცესების გამომწვევია.

აქედან გამომდინარე, ჯეკ გოლდსტოუნის დემოგრაფიულ-სტრუქტურული თეორიის მეშვეობით შესაძლებელი ხდება თანამედროვე პროცესების სხვა კუთხით შეფასება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მალთუსის თეორიასა და ნეომალთუზიანელობასთან შედარებით საქმე გვაქვს განსხვავებულ შეხედულებასთან.

ამგვარად, ერთ-ერთი ყველაზე რთული მოვლენაა დემოგრაფიული აფეთქება – მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა. მოკვდაობის შემცირება მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე შობადობის კლება, რასაც მოჰყვება მოსახლეობის რაოდენობის დაჩქარებული მატება.<sup>74</sup> დემოგრაფიული აფეთქება – დემოგრაფიული რევოლუციის დაუსრულებლობის შედეგი.<sup>75</sup> ამ კუთხით საჭიროა ვიცოდეთ, რა არის „დემოგრაფიული რევოლუცია“. ამ საკითხისადმი გამოჩენილ დემოგრაფია და ეკონომისტს ანატოლი ვიშნევსკის მიძღვნილი აქვს ნაშრომი, რომელშიც განხილულია შობადობის, სიკვდილიანობის და მოსახლეობის აღნარმოე-

74 დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გიორგი წულაძე. თბილისი, 2012. გვ. 62

75 Вишневский А.Г. Мировой демографический взрыв и его проблемы. Москва, Издательство «Знание». 1978. გვ. 5

ბის ისტორიული ტიპები.<sup>76</sup> „დემოგრაფიული გადასვლა“ და „დემოგრაფიული რევოლუცია“ ერთსა და იმავე პროცესს აღნიშნავს, ტერმინი „რევოლუცია“ გამოყენებულია დიალექტიკურ-მატერიალისტური მნიშვნელობით,<sup>77</sup> თუმცა ტერმინი მაინც აღნიშნავს, რომ დემოგრაფიულ პროცესებში ხდება უეცარი ცვლილებები. ჩვენთვის მეტად საინტერესოა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა, რაც გამოიხატება სიკვდილიანობისა და შობადობის გადატრიალებაში. ვიშნევსკი ერთგვარ ქრონოლოგიას გვთავაზობს: დემოგრაფიული გადასვლა, დემოგრაფიული რევოლუცია, დემოგრაფიული აფეთქება. ეს უკანასკნელი დემოგრაფიული გადასვლისა და დემოგრაფიული რევოლუციის არასინქრონულობის შედეგია<sup>78</sup>, რაც იწვევს მოსახლეობის სწრაფ ზრდას.

ანატოლი ვიშნევსკიმ, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სამი სქემა გამოყო: საფრანგეთის მაგალითზე, როდესაც სიკვდილიანობისა და შობადობის კლება პარალელურად ხდება (შესაბამისად, როგორც ავტორი აღნიშნავს, საფრანგეთში XIX საუკუნეშიც კი არ მომხდარა დემოგრაფიული აფეთქება), ასევე დემოგრაფიული რევოლუციის განვითარების მეორე სქემით ინგლისის, შვედეთისა და სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნები მაგალითზე, რომლის დროსაც გადატრიალება სიკვდილიანობაში იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ დაბალი შობადობის მიუხედავად, მოსახლეობის ბუნებრივი მატება საკმაოდ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რაც შეეხება მესამე სქემას, იგი დამახასი-

76 Вишневский А.Г. Избранные демографические труды. Том I. Демографическая теория и демографическая история. Демографическая революция. Москва, 2005.

77 იქვე გვ. 20

78 იქვე გვ. 164

ათებელია თანამედროვე განვითარებადი ქვეყნებისთვის.<sup>79</sup> ამ შემთხევაში დემოგრაფიულ პროცესებს ფაქტობრივად არ გააჩნიათ ფაზები და აქედან გამომდინარე, შობადობა ძალიან მატულობს, ხოლო სიკვდილიანობა კლებულობს.

XX-XXI საუკუნეებში დემოგრაფიული აფეთქება პიკს აღწევს, რაც მრავალ პრობლემას იწვევს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებში, სადაც ვერ მოხერხდა დემოგრაფიული გადასვლა და გრძელდება მოსახლეობის სწრაფი ზრდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი თავისით დარეგულირებას ვერ შეძლებს, ამიტომ დემოგრაფიული კრიზისი უფრო გაძლიერდება. ამ მხრივ საჭიროა ქვეყნების მიერ დემოგრაფიული პროცესების კონტროლი, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი დემოგრაფიული კრიზისი შესაძლოა დემოგრაფიულ კატასტროფამდე მივიდეს.

---

79 იქვე. გვ. 166

## თავი მეორე. დემოგრაფიული პროცესები და მსოფლიო მიგრაციის საფრთხეები

### 2.1. მსოფლიო მოსახლეობის დინამიკა და პროგნოზები

მსოფლიოს მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება. აღსანიშნავია ისტორიკოსისა და დემოგრაფის კოლინ მაკევდისა და რიჩარდ ჯონსის ნაშრომი მსოფლიოს მოსახლეობის ისტორიის რუკა (Atlas of world population history), რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა, საბჭოთა ეთნოგრაფის სოლომონ ბრუკის „მსოფლიოს მოსახლეობა. ეთნოდემოგრაფიული ცნობარი“ (1981 წ.), ისტორიკოსის და დემოგრაფის დიმიტრი შელესტოვის „ისტორიული დემოგრაფია“ და სხვ. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაეროს მონაცემებს.

ძვ.წ. 10.000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით 3-4 მილიონ ადამიანს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე 8-10 ადამიანი 100 კვადრატულ კილომეტრზე<sup>80</sup>. ძვ.წ. V-IV ათასწლეულში მსოფლიოს მოსახლეობა 50 მილიონ ადამიანამდე<sup>81</sup>, ძვ.წ. 200 წელს დაახლოებით 150 მილიონი ადამიანი<sup>82</sup>, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის უკვე 250-280 მილიონ ადამიანს შეადგენდა<sup>83</sup>.

---

80 Брук С.И. Население Мира. Этно-демографический справочник. Издательство «Наука». Москва 1981. გვ. 12

81 იქვე.

82 Colin McEvedy and Richard Jones. Published in Great Britain by Penguin Books Ltd. And Allen Lane. New York, 1978. გვ. 342

83 Брук С.И. Население Мира. Этно-демографический справочник. Издательство «Наука». Москва 1981. გვ. 13

წელი	მილიონი (მაკევედი)	მილიონი (პრუკი) <sup>84</sup>
1000	300	
1500	425	440-450
1750	720	728
1800	900	952
1850	1200	1248
1900	1625	1656

ამავდროულად საინტერესოა მაკევედის პროგნოზი – 2000 წლისთვის 5.750.000.000 ადამიანი<sup>85</sup>. ეს, ერთი მხრივ, ოპტიმისტური პროგნოზი აღმოჩნდა, ვინაიდან 2000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 6.100.000.000 ადამიანი იყო. ამ მხრივ შელესტოვს ზუსტი პროგნოზი აქვს, რომელსაც შემდეგნაირად აქვს დაფიქსირებული მონაცემები: 1000 წ. – 0,3 მილიარდი; 1500 წ. – 0,44 მილიარდი; 1817-1820 წ. – 1 მილიარდი; 1920 წ. – 2 მილიარდი; 1960 წ. – 3 მილიარდი; 1976 წ. – 4 მილიარდი; 1986 წ. – 5 მილიარდი, 2000 წ. – 6,1 მილიარდი.<sup>86</sup> ს. ბრუკი პროგნოზებისგან თავს იკავებს, თუმცა აღნიშნავს, რომ 1820 წელს მსოფლიოს მოსახლეობამ უკვე 1 მილიარდს მიაღწია, საუკუნის შემდეგ უკვე – 2 მილიარდს (1927 წელი), 33 წლის შემდეგ (1960 წელს) – 3 მილიარდს და სულ რაღაც 15 წელიწადში (1975 წელს) – 4 მილიარდს<sup>87</sup>.

საყურადღებოა გაეროს მონაცემები და პროგნოზები

84 იქვე. გვ. 14

85 Colin McEvedy and Richard Jones. Published in Great Britain by Penguin Books Ltd. AndAllenLane. 1978. გვ. 342

86 იხ. Шелестов Д.К. Историческая демография. Издательство «Прогресс». «Высшая школа» Москва, 1987.

87 Брук С.И. Население Мира. Этно-демографический справочник. Издательство «Наука». Москва 1981. გვ. 16

(1950-2050). გაეროს დემოგრაფიული წელიწლების (1948 წლიდან გამოდის) მიხედვით, 1950 წელს მსოფლიოს მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 2.5 მილიარდ ადამიანს. 2019 წლისთვის უკვე 7.7 მილიარდს. შესაბამისად, თითქმის 70 წელიწადში მსოფლიოს მოსახლეობა 3-ჯერ გაიზარდა<sup>88</sup>. თვალსაჩინოა მოსახლეობის ზრდის ტემპების განსხვავება სხვადასხვა კონტინენტს შორის. 1950 წელს აფრიკის კონტინენტზე დაახლოებით 230 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 2010 წელს – მილიარდზე მეტი (1.022.000.000)<sup>89</sup>. აზის მოსახლეობა 1950 წელს 1,5 მილიარდს შეადგენდა, 2010 წელს – 4.164.000.000. ევროპაში 1950 წელს დაახლოებით 547 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 2010 წლისთვის – დაახლოებით 738 მილიონი ადამიანი. რაც შეეხება ამერიკის კონტინენტს (ჩრდილოეთ ამერიკა; სამხრეთ ამერიკა), 1950 წელს მისი მოსახლეობა დაახლოებით 338 მილიონი ადამიანი იყო, 2010 წელს – დაახლოებით 934 მილიონი<sup>90</sup>.

გაეროს პროგნოზების მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობა 2100 წლისთვის 10.875.394.000 ადამიანს შეადგენს. აქედან აფრიკაში იცხოვრებს 4.280.127.000 ადამიანი, აზიაში – 4.719.907.000, ევროპაში – 629.563.000, ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში – 679.993.000, ჩრდილოეთ ამერიკაში – 490.889.000, ხოლო ოკეანეთში – 74.916.000 ადამიანი.<sup>91</sup> ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 2060 წლიდან ბუნებრივი კლება იწყება აზიასა და ევროპაში, 2070

---

88 Departments of Economic and social Affairs. Population Division. World population prospects 2019. Volume I: Comprehensive Tables. United Nations. New York. 2019. გვ. 2

89 Departments of Economic and social Affairs. 2009-2010. Demographic Yearbook. Sixty-first issue. United Nations. New York, 2011. გვ. 50

90 იქვე.

91 Departments of Economic and social Affairs. Population Division. World population prospects 2019. Volume I: Comprehensive Tables. United Nations. New York. 2019. გვ. 3

წლიდან – ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში. რაც შეეხება აფრიკას, ჩრდილოეთ ამერიკასა და ოკეანეთს, ბუნებრივი მატება ფიქსირდება 2100 წლამდე. სიზუსტისთვის უმჯობესი იქნება საშუალონწლიური ბუნებრივი კლება/ მატება პროცენტებში დავაფიქსიროთ. 2095-2100 წლებში მსოფლიო მოსახლეობის დინამიკა შეადგენს 0.04 და კონტინენტებს შორის იქნება კარდინალური განსხვავება:<sup>92</sup>

ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი: -0.46;

აზია – 0.39

ევროპა – 0.14

ჩრდილოეთ ამერიკა – 0.25

ოკეანეთი – 0.37

აფრიკა – 0.61

რაც შეეხება ნაყოფიერების საერთო მაჩვენებელს (ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა რეპროდუქციულ პერიოდში 15-49): 2015-2020 წლებში მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 2.47 იყო, ანუ 100 ქალი 247 ბავშვს აჩენდა. კვლავინდებურად ძალიან დიდ განსხვავებას აქვს ადგილი კონტინენტებს შორის:<sup>93</sup>

აფრიკა – 4.44

ოკეანია – 2.36

აზია – 2.15

ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი – 2.04

ჩრდილოეთ ამერიკა – 1.75

ევროპა – 1.61

---

92 იქვე. გვ. 13

93 Departments of Economic and social Affairs. Population Division. World population prospects 2019. Volume I: Comprehensive Tables. United Nations. New York. 2019. გვ. 137

ქვეყნებიდან 2015-2020 წლებში ყველაზე მაღალი  
მაჩვენებელია:<sup>94</sup>

ნიგერი – 6.95

სომალი – 6.12

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა – 5.96

მალი – 5.92

ანგოლა – 5.55

ბურუნდი – 5.45

ნიგერია – 5.42

გამბია – 5.25

ბურკინა-ფასო – 5.23

უგანდა – 5.01

უნდა აღინიშნოს, რომ, თუ მსოფლიოში ნაყოფიერების საერთო მაჩვენებელი დროთა განმავლობაში კლებულობს, აფრიკის კონტინენტზე იგი თითქმის უცვლელი რჩება და საკმაოდ მაღალია ეს მაჩვენებელი თანამედროვეობაშიც. ამაზე მიუთითებს ზემოთ აღნიშნული 10 ქვეყნის მონაცემები:

1950-1955 წლებში ნიგერში ნაყოფიერების საერთო მაჩვენებელი 7.30 იყო, სომალიში – 7.25; კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – 5.98 (ამჟამად, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, 5.96-ია), მალის რესპუბლიკაში – 6.95; ანგოლაში – 6.00; ბურუნდის რესპუბლიკაში – 6.80; ნიგერიაში – 6.35; გამბიაში – 6.35; ბურკინა-ფასოში – 6.10 და უგანდაში – 6.90; ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ აფრიკის კონტინენტზე ყველაზე სწრაფად იზრდება მოსახლეობა.

საინტერესოა მოსახლეობის დინამიკა მსოფლიოში,

---

94 იქვე

ამასთანავე, კონტინენტურის მოსახლეობის დინამიკის შედარება.

მსოფლიო მოსახლეობის დინამიკა:<sup>95</sup>

2017 წელი – 7 547 859 000

2018 წელი – 7 631 091 000

2019 წელი – 7 713 468 000<sup>96</sup>

აფრიკის მოსახლეობის დინამიკა:

2017 წელი – 1 244 222 000

2018 წელი – 1 275 921 000

2019 წელი – 1 308 064 000

აზიის მოსახლეობის დინამიკა –

2017 წელი – 4 519 040 000

2018 წელი – 4 560 667 000

2019 წელი – 4 601 371 000

ევროპის მოსახლეობის დინამიკა:

2017 წელი – 745 415 000

2018 წელი – 746 419 000

2019 წელი – 747 183 000

ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის მოსახლეობის დინამიკა:

2017 წელი – 636 233 000

2018 წელი – 642 217 000

2019 წელი – 648 121 000

95 Population and Vital Statistics Report. Statistical Papers. Series A Vol. LXXII. United Nations. New York, 2020. გვ. 4

96 Population and Vital Statistics Report. Statistical Papers. Series A Vol. LXXIII. United Nations. New York, 2021. გვ. 4

ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის დინამიკა:

2017 წელი – 361 942 000

2018 წელი – 364 296 000

2019 წელი – 366 601 000

ოკეანეთის მოსახლეობის დინამიკა:

2017 წელი – 41 006 000

2018 წელი – 41 571 000

2019 წელი – 42 128 000

მსოფლიოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების სხვაობა,  
არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, შეადგენდა:

2017 წელს – 83 232 000, 2018 წელს – 82 377 000.

აფრიკა – 31 699 000; 32 143 000

აზია – 41 627 000; 40 704 000

ევროპა – 1 004 000; 764 000

ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი:

6 037 000; 5 851 000

ჩრდილოეთი ამერიკა – 2 354 000; 2 305 000

ოკეანია: 565 000; 557 000

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ კონტინენტებიდან ბუნებრივი მატება აფრიკის გარდა ყველგან მცირდება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე გასაგები ხდება, რომ მსოფლიოს მოსახლეობა თანამედროვეობაშიც ძალიან სწრაფად იზრდება. დემოგრაფიული აფეთქება სახეზეა. ა. ვიშნევსკის აზრით, დემოგრაფიული აფეთქება დემოგრაფიული რევოლუციის დაუსრულებლობის შედეგია.<sup>97</sup>

97 Вишневский А.Г. Мировой демографический взрыв и его проблемы. М., «Знание», 1978. გვ. 5

აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ დემოგრაფიული აფეთქება აფრიკის კონტინენტზე გრძელდება. აფრიკაში ნაყოფიერების საერთო მაჩვენებელი თითქმის უცვლელი რჩება ათწლეულების განმავლობაში, რაც სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს სრულიად კონტინენტს. მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდება მოსახლეობის სიმჭიდროვე, რაც, ბუნებრივია. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის კონტინენტი ამ ეტაპზე მოსახლეობის სიმჭიდროვით არ გამოირჩევა, თუმცა მოსახლეობის ზრდის ასეთი ტემპების გათვალისწინებით მოსახლეობის სიმჭიდროვეც, რასაკვირველია, გაიზრდება ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა კონტინენტებზე.

მოსახლეობის სიმჭიდროვე:

	1990 წელი <sup>98</sup>	2000 წელი <sup>99</sup>	2010 წელი <sup>100</sup>
მსოფლიო	39	45	51
აფრიკა	21	26	34
ოკეანია	3	4	4
აზია	113 <sup>101</sup>	116	119

98 Departments of Economic and Social Affairs, statistical office. 1990. United Nations Demographic Yearbook. United Nations. New York, 1992. გვ. 141

99 Departments of Economic and social Affairs. 2000. United Nations Demographic Yearbook. United Nations. New York, 2002. გვ. 109

100 Departments of Economic and social Affairs.2009-2010. United Nations Demographic Yearbook. Sixty-first issue. United Nations. New York, 2011. გვ. 50

101 თურქეთის ევროპული ნაწილი დასავლეთ აზიის შემადგენლობაში არის შეყვანილი.

ლათინუ- რი ამერიკა და კარიბის აუზი	22	25	29
ჩრდილოეთ ამერიკა	13	15	16
ევროპა	101 <sup>102</sup>	32	32

2019 წელს ქვეყნებიდან მოსახლეობის სიმჭიდროვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია:<sup>103</sup>

ადამიანი კვადრატულ  
კილომეტრზე

1. ბანგლადეში	1253
2. ტაივანი	671
3. ლიბანი	670
4. კორეის რესპუბლიკა	527
5. რუანდა	512
6. ნიდერლანდები	507
7. ინდოეთი	460
8. ბურუნდი	449
9. ჰაიტი	409
10. ისრაელი	394
11. ბელგია	381
12. ფილიპინები	363
13. იაპონია	348
14. შრი-ლანკა	340
15. სალვადორი	311
16. ვიეტნამი	311

102 საბჭოთა კავშირის მონაცემების გარეშე.

103 World Population Prospects 2019. Data Booklet. United Nations. Department of Economic and Social Affairs. გვ. 14-22.

17. პაკისტანი	281
18. დიდი ბრიტანეთი	279
19. ტრინიდადი და ტობაგო	272
20. იამაიკა	272
21. კატარი	244
22. გერმანია	240
23. ქუვეითი	236
24. გამბია	232
25. დომინიკელთა რესპუბლიკა	222
26. ნიგერია	221
27. შვეიცარია	217
28. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	213
29. იტალია	206
30. ნეპალი	200

შედარებისთვის საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 58 ადამიანს ერთ კვადრატულ კილომეტრზე.<sup>104</sup>

არსებული მონაცემებისა და პროგნოზების მიხედვით, ცხადია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპები (მის მიერ გამოწვეული ჭარბი მოსახლეობის ფენომენის გამოწვევები) თანამედროვეობაში საკმაოდ მაღალია. განსაკუთრებით ეს პროცესი პრობლემატურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც დემოგრაფიული გადასვლა ვერ შედგა.

---

104 World Population Prospects 2019. Data Booklet. United Nations. Department of Economic and Social Affairs. გვ. 16

## **2.2. ჭარბი მოსახლეობა, როგორც ეკოლოგიური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა**

ჭარბი მოსახლეობა (ჭარბმოსახლეობა) იგივე გადამეტმოსახლეობა – მოსახლეობის გარკვეული სიჭარბე არსებობის საშუალებათა წარმოების მოცემულ წესთან შედარებით.<sup>105</sup> ჭარბი მოსახლეობის გამომწვევი შესაძლოა იყოს როგორც დემოგრაფიული აფეთქება, ასევე მიგრაცია.

დემოგრაფიული აფეთქება განსაკუთრებულ ზიანს ეკოლოგიას აყენებს. მოსახლეობის სწრაფი ზრდა (2018 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 82 377 000-ით გაიზარდა)<sup>106</sup> ნიშნავს ახალი დასახლებული პუნქტების შექმნას, შესაბამისად, ახალი მიწების ათვისებას, ამასთანავე, საჭიროა მეტი რესურსი ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის, ხოლო, რათა ეს ყოველივე განხორციელდეს, საჭიროა ჯერ კიდევ თავისუფალი სივრცე იქნეს ათვისებული. ხშირ შემთხვევაში ახალი მიწების დაკავება ტყის ფართობის ხარჯზე ხდება, რაც, რასაკვირველია, იწვევს ტყის ტერიტორიის შემცირებას.

მსოფლიოს ტყეების ფართობმა კატასტროფულად იკლო ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მრავალ ქვეყანაში შეიმჩნევა გაუტყეურება. 1990 წელს მსოფლიოში ტყეების ფართობი შეადგენდა 42 364 330 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო 2020 წელს 40 589 310 კვადრატულ კილომეტრს.<sup>107</sup> წიგნში სიღრმისეულად არ განვიხილავთ ტყეების დანიშნულებას, თუმცა ის, რომ ტყეები

105 დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გიორგი წულაძე. თბ.ი, 2012. გვ. 41.

106 Population and Vital Statistics Report. Statistical Papers. Series A Vol. LXXII. United Nations. New York, 2020. გვ. 4.

107 Global Forest Resources Assessment 2020. Main Report. Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, 2020. გვ. 16.

ჰაერის ხარისხს აუმჯობესებს, ასუფთავებს ჰაერს სხვა-დასხვა მავნე ნივთიერებისგან ცნობილია. ეს არის ტყეების ფუნქციის მცირე ჩამონათვალი. ჰაერის დაბინძურება მრავალი დაავადების გამომწვევია, რომლის შედეგად მსოფლიოში წელიწადში დაახლოებით 6 500 000 ადამიანი იღუპება.<sup>108</sup> ა. ვიშნევსკიმ აღნიშნა, რომ დემოგრაფიული აფეთქების პირობებში იწყება ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც გამოწვეულია მოსახლეობის სიმჭიდროვის მკვე-თრი ზრდით, რაც იწვევს ტყეების განადგურებას, ნიადა-გის ეროზიას, ჰიდროლოგიური რეჟიმის რღვევას, კლიმა-ტის გაუარესებას.<sup>109</sup> ამ პროცესების გავლენის ქვეშ საპარა ყოველწლიურად სამხრეთით რამდენიმე კილომეტრით ფართოვდება. ეს მარტო აფრიკის კონტინენტს არ ეხება, უდაბნოების ფართობი სრულიად მსოფლიოში იზრდება. 1990-2020 წლებში ტყეების ფართობმა დაიკლო 1 775 020 კვადრატული კილომეტრით<sup>110</sup>, რაც ლიბიაზე დიდი ტერი-ტორიაა. აქედან გამომდინარე, კლიმატის გაუარესება არ უნდა იყოს გასაკვირი.

უნდა აღინიშნოს კონტინენტებს შორის განსხვავებული მონაცემები. აფრიკის კონტინენტზე, სადაც მოსახლეობა ყველაზე სწრაფად იზრდება, ასევე ყველაზე სწრაფად მცირდება ტყეების ფართობი. 1990 წელს აფრიკის ტყეების საერთო ფართობი 7 428 010 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, 2020 წელს ამ მაჩვენებელმა დაიკლო 6 366 390 კვადრატულ კილომეტრამდე, ხოლო ევროპა, რომელიც დეპოპულაციას განიცდის, ტყის ფართობი გაიზარდა:

108 Energy and Air Pollution. World Energy Outlook. Special Report. International Energy Agency. Paris. 2016. გვ. 33.

109 Вишневский А.Г. Мировой демографический взрыв и его проблемы. М., «Знание»б 1978. გვ. 24

110 Global Forest Resources Assessment 2020. Main Report. Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, 2020. გვ. 16

1990 წელს – 9 943 190 კვადრატული კილომეტრი; 2020 წელს – 10 174 610 კვადრატული კილომეტრი.<sup>111</sup>

ამ მხრივ საინტერესოა ის ქვეყნები, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია. ფაქტია, ასეთ ქვეყნებში ტყის ფართობი საკმაოდ მწირია. გამონაკლისია ის ქვეყნები, რომელთა ტერიტორიის უდიდეს ნაწილს უდაბნო მოიცავს, ამ შემთხვევაში შესაძლოა მოსახლეობის სიმჭიდროვე დაბალი იყოს, თუმცა უდაბნოს არეალის სიდიდის გათვალისწინებით, სიმწვანე რა თქმა უნდა მინიმალურია.

XX საუკუნეში ტყეების ფართობი 75%-ით შემცირდა და ორჯერ დაიკლო ერთ სულ მოსახლეზე ტყის ფართობმა (1,2 ჰა-დან 0,6 ჰა-მდე).<sup>112</sup> ეს პროცესი მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის ზრდასთან, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ დემოგრაფიული აფეთქება XX-XXI საუკუნეების მოვლენაა.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად კლებულობს ტყის ფართობი, რაც ორგანულია.

ზოგადად, გარემოს დაბინძურებას ორი ძირითადი წყაროა გააჩნია: ბუნებრივი და ანთროპოგენური. ანთროპოგენური ზეწოლა, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მოსახლეობის ბუნებრივ მატებასთან, მეორე მხრივ, ადამიანის მოთხოვნილებათა ზრდასთან. აუცილებელია დედამიწის ტემპერატურული ბალანსის შენარჩუნება,<sup>113</sup> რომელიც ძირითად შემთხვევაში ანთროპოგენურ ხასიათს ატ-

---

111 იქვე

112 Вишневский А.Г. Избранные демографические труды. ТомII. Экономическая демография. Анализ демографических процессов. Москва, Наука, 2005. გვ. 370

113 EhrlichPaulR. ThePopulationBomb. Population control or race to oblivion? NewYork, BallantineBooks, inc, 1969. გვ. 60

არებს. ამ პროცესის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ტყეების განადგურება და სრულიად ბუნებრივი გარემოს დაბინძურება (ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის და სხვ.). ამ პროცესების მთავარი გამომწვევია საწარმოების წარმოქმნა, რაც აუცილებელ ფაქტორად გვევლინება მოსახლეობის ზრდის პირობებში.

ყველაზე დაბინძურებული ქვეყნებია:<sup>114</sup>

1. ბანგლადეში
2. პაკისტანი
3. ინდოეთი
4. მონღოლეთი
5. ავღანეთი
6. ომანი
7. კატარი
8. ყირგიზეთი
9. ინდონეზია
10. ბოსნია და ჰერცეგოვინა

ჩამოთვლილ ქვეყნებში შეიმჩნევა როგორც ჭარბმოსახლეობა, ისე დემოგრაფიული აფეთქების ნიშნები. შესაბამისად, დემოგრაფიული ფაქტორი მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან.

თანამედროვეობაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გვევლინება მტკნარი წყლის დეფიციტი. მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში აუცილებელია სოფლის მეურნეობის გაფართოება, ხოლო ამ დარგისათვის საჭიროა მტკნარი წყლის დიდი რაოდენობა. ასეთ პროცესებთან დაკავშირებული კატასტროფის მაგალითია არალის ზღვის დაშრობა, რომელიც მოსახლეობის სწრაფი ზრდის (არალის ზღვა ყაზახეთის და უზბეკეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, რომლებსაც ახასიათებთ დემოგრაფიული

აფეთქება) შედეგია, ვინაიდან, წყალზე მოთხოვნა მოსახლეობის ზრდასა და სოფლის მეურნეობის გაფართოებასთან ერთად იზრდება. გარდა ამისა, სერიოზულ პრობლემად გვევლინება წყლის დაბინძურება. შედეგად ერთ სულ მოსახლეზე მტკნარი წყლის მარაგი მკვეთრად კლებულობს და სამომავლოდ კატასტროფულ შედეგამდე მიაღწევს. პროგნოზებიდან გამომდინარე, 2025 წლისთვის წყლის აბსოლუტური დეფიციტი მილიარდ ადამიანს შეეხება.<sup>115</sup> ასეთი მდგომარეობა მრავალი კრიზისის კატალიზატორია.

ერთადერთ ალტერნატივად შეგვიძლია მივიჩნიოთ დემოგრაფიული აფეთქების დასრულება, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, რამდენად არის შესაძლებელი, რომ ეს პროცესი თავისით დასრულდეს, რთული სათქმელია. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე საჭიროა, რომ ეს პროცესები რეგულირდებოდეს.

### 2.3. მსოფლიო მიგრაცია და საფრთხეები

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საფრთხეედ და გამოწვევად მიგრაცია ითვლება. კაცობრიობის ისტორიაში თავისი მასშტაბურობით გამოყოფენ მიგრაციის რამდენიმე ეტაპს. ყველაზე თვალსაჩინოა „დიდი ბერძნული კოლონიზაცია“ (ძვ.წ. VIII-VI საუკუნეები), „ხალხთა დიდი გადასახლება“ (IV-VII საუკუნეები) და „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები“ (XV-XVII საუკუნეები). თანამედროვე „მიგრაციებს“ წინა „მიგრაციებთან“ ბევრი საერთო მახასიათებლები აქვთ. უპირველეს ყოვლისა, ყველა შემთხვევაში კატალიზატორი იყო დემოგრაფიული

115 Вишневский А.Г. Избранные демографические труды. Том II. Экономическая демография. Анализ демографических процессов. Москва, Наука, 2005. გვ. 370

აფეთქება, რომელიც ჭარბმოსახლეობის გამომწვევი გახდა, შედეგად კონკრეტულ სივრცეს გარკვეული რაოდენობის მოსახლეობის გამოკვების უნარი არ გააჩნდა. დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგად ხალხთა დიდმა გადასახლებამ იმდროინდელი სამყაროს ეთნოდემოგრაფიული სურათი შეცვალა, დღეს ჩვენ იმავე მდგომარეობის თანამედროვეები ვართ. თუ ადრე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ხდებოდა მიგრაცია, ამჟამად ძირითადი მარშრუტი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებაა. გამონაკლისია სამხრეთში მდებარე რამდენიმე სახელმწიფო (ავსტრალია; ახალი ზელანდია; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვ.).

2019 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 272 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი იყო, მსოფლიოს მოსახლეობის 3.5%<sup>116</sup> ამ მიგრანტების 74% შრომისუნარიანია (20-64 წლის ასაკი)<sup>117</sup>. რაც შეხება მიგრანტების რაოდენობის ზრდას გლობალურ დონეზე<sup>118</sup>:

1970	84 460 125	2.3%
1975	90 368 010	2.2%
1980	101 983 149	2.3%
1985	113 206 691	2.3%
1990	153 011 473	2.9%
1995	161 316 895	2.8%
2000	173 588 441	2.8%
2005	191 615 574	2.9%
2010	220 781 909	3.2%
2015	248 861 296	3.4%
2019	271 642 105	3.5%

116 World Migration Report 2020. Switzerland, Geneva. გვ. 19

117 იქვე გვ. 21

118 იქვე

მიგრაციას მრავალი მიზეზი გააჩნია: ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური და სხვა, თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღნიშნულ იქნა, ძირითადი მიზეზი ყოველთვის იყო დემოგრაფიული აფეთქება. ამ მხრივ ჩვენ ნებისმიერი მიგრაციის შეფასება შეგვიძლია, მათ შორის ისეთის, როდესაც ადგილი აქვს ომს, შიმშილს, ეპიდემიას, ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და ა.შ. ადამიანი ყოველთვის ცდილობს უკეთესი პირობების ძიებას. თუმცა დღესდღეობით მიგრაციასთან დაკავშირებული კრიზისები ძლიერდება. ბოლო პერიოდში ყურადღებას იპყრობს ევროპის საიმიგრაციო კრიზისი, რომელიც 2015 წლიდან აქტიურ ფაზაშია, რაც შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ამ პერიოდში საკმაოდ ბევრ შეიარაღებულ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი, რომელთა ძირითადი არეალი აფრიკის კონტინენტი და ახლო აღმოსავლეთია, სადაც ჭარბმოსახლეობის პრობლემა უმთავრეს მიზეზად გვევლინება.

რასაკვირველია, მასობრივი მიგრაციის პირობებში გასათვალისწინებელია კულტურულ-ცივილიზაციური ფაქტორი, თუმცა ამ შემთხვევაშიც რეალური პრობლემა ეკონომიკური საკითხია, კერძოდ, რესურსებთან დაკავშირებული. საუბარია მიმღები მხარის (ქვეყანა; რეგიონი) უნარზე, შეინარჩუნოს ბალანსი როგორც რესურსების გადანაწილებაში, ასევე დასაქმების (იქნება ეს ხელფასები თუ სამუშაო ადგილები; მწვავდება უმუშევრობის საკითხი) და სხვა საკითხებში, რათა მიგრაციამ არ გამოიწვიოს ცხოვრების დონის მაჩვენებლის დაცემა, რაც აისახება როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ასევე იმიგრანტებზე.

რაც შეეხება მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ევროპის ქვეყნებში მისი დონე საკმაოდ მაღალია. ევროპაში 34 ადამიანი ერთ კვადრატულ კილომეტრზე, მაგრამ ეს რუსეთის

ფედერაციის ტერიტორიების გათვალისწინებით. დასავლეთ ევროპაში ეს მაჩვენებელი 180 ადამიანს შეადგენს, სამხრეთ ევროპაში – 118-ს, ხოლო ჩრდილოეთ ევროპაში – 62 ადამიანს ერთ კვადრატულ კილომეტრზე.<sup>119</sup> ზემოთ აღნიშნულ იქნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობის სიმჭიდროვის დონე ეკოლოგიურ და შესაბამისად, ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში. ევროპის ქვეყნების გარდა, მიგრანტების რაოდენობით გამოირჩევა არაბული სამყარო (ლიბანი; არაბთა გაერთიანებული საამიროები; ომრდანია; ომანი; საუდის არაბეთი და სხვ.). გამოირჩევა ასევე აშშ, რუსეთი და კანადა.

მსოფლიო მიგრაციის სტატისტიკის მიხედვით გასაგები ხდება, რომ მიგრაციის პროცესი კონტროლს არ ექვემდებარება. ამ ფაქტორებმა შესაძლოა მრავალი პრობლემა გამოიწვიონ (ჭარბი მოსახლეობის პრობლემა; ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები, კრიმინალის ზრდა). უკირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გადინება ძირითადად ლარიბი ქვეყნებიდან მიმდინარეობს, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, ჭრბმოსახლეობის პრობლემაა. რასაკვირველია, მოსახლეობის გადინება ასეთი ქვეყნებიდან დადებითად აისახება ამ უკანასკნელებზე, რესურსების გადანაწილება უფრო მარტივი ხდება, სამუშაო ადგილების პრობლემა ისეთი მწვავე აღარ არის, ხელფასები მატულობს.<sup>120</sup> აქედან გამომდინარე, ჭარბმოსახლეობის პრობლემის შეჩერება ერთ კონკრეტულ ქვეყანასა თუ რეგიონში ხერხდება, თუმცა ეს არის „შეჩერება“ და არა გადაჭრა, ვინაიდან, თუ ასეთ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდის ტემპები მაღალია, მოსახლეობის გადინე-

119 Departments of Economic and social Affairs. 2018. Demographic Yearbook. Sixty-first issue. UnitedNations. NewYork, 2019. გვ. 46

120 КоллиерП. Исход. Как миграция изменяет наш мир. Издательство института Гайдара. Москва, 2016 год. გვ. 293-294

ბა ჭარბმოსახლეობის პრობლემას, უკეთეს შემთხვევაში, დროებითად გადაჭრის. ამავდროულად „მიმღები“ ქვეყნისთვის მიგრანტების გამოჩენა ჭარბმოსახლეობის პრობლემას ამწვავებს. აქედან გამომდინარე, მსოფლიო დონეზე მოსახლეობის მიგრაციიდან დადებითი შედეგის მიღება შეუძლებელია, თუ არ იქნება შობადობის რეგულირება განვითარებად ქვეყნებში. უმნიშვნელოვანესი საკითხია ასევე მიგრაციის პროცესების რეგულირება. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ეს აუცილებლობა გამოწვეულია ქსენოფონბის გამწვავების აღკვეთის მიზნით. მიგრანტების დიდი მასების შემთხვევაში აუცილებელია მულტიკულტურული პოლიტიკის წარმოება, რაც ხელს უშლის მიგრანტების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ენისა და ტრადიციების შესწავლას. ამ შემთხვევაში მიგრანტები ცალკე იწყებენ ცხოვრებას კონკრეტულ არეალში, ამიტომ მულტიკულტურული პოლიტიკა აფერხებს ინტეგრაციას.<sup>121</sup> აქედან გამომდინარე, აუცილებელია მიგრაციის კონტროლი, რათა არ იყოს მულტიკულტურული პოლიტიკის წარმოების საჭიროება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ახალ გარემოში უცხო კულტურის დამკვიდრებას, რომლის შედეგადაც ჭარბმოსახლეობის პრობლემის გამწვავებასთან ერთად იწყება დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასთან ცივილიზაციური კუთხით.

იმიგრანტებში საკმაოდ მაღალია დანაშაულებრიობა (მათ შორის ტერორიზმი), რაც ადგილობრივ მოსახლეობაში, რასაკვირველია, უკმაყოფილებას იწვევს, რაც ამავდროულად შესაძლოა ქსენოფონბის გამოვლინებაში გადაიზარდოს. დავასახელებთ რამდენიმე ტერორისტულ აქტს:

---

121 Коллиер П. Исход. Как миграция изменяет наш мир. Издательство института Гайдара. Москва, 2016 год. гл. 149

2015 წელს მოხდა ტერაქტი სან-ბერნანდინოში (პაკისტანელი ტერორისტების მიერ), შტატ ტენესიში (არაბული წარმოშობის ტერორისტის მიერ), პარიზში (არაბი ტერორისტების მიერ), რომელსაც 130 ადამიანი ემსხვერპლა,

2016 წელს ბრიუსელში მომხდარი ტერაქტი, რომელსაც 35 ადამიანი ემსხვერპლა, მაროკოელი წარმოშობის არაბების მიერ იქნა შესრულებული. ასევე 2016 წელს მოხდა ტერაქტი ნიცაში (ტერორისტი ტუნისელი არაბი), ტერაქტები ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსიში (ეჭვმიტანილია ავლანელი), ტერაქტი ბერლინში (ტერორისტი ტუნისელი არაბი), ტერაქტი ნორმანდიის ეკლესიაში (ტერორისტები არაბული წარმოშობისა).

2017 წლის 7 აპრილს მოხდა ტერაქტი სტოკჰოლმში (უზბეკეთის მოქალაქე), 22 მაისს – მანჩესტერში (არაბული წარმოშობის), 3 ივნისს – ლონდონში (თავდასხმელები არაბული და პაკისტანური წარმოშობის), 31 ოქტომბერს ტერაქტი მოხდა ნიუ-იორკში (უზბეკი ტერორისტი).

2021 წლის 15 ოქტომბერს სომალელმა ტერორისტმა ბრიტანელი კონსერვატორი პოლიტიკოსი დევიდ ეიმისი მოკლა.

ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, შეუძლებელს ხდის იმიგრანტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებას. მაგალითისთვის მოყვანილ იქნა 2015-2017 წლებში მომხდარი ტერორისტული აქტები, როდესაც მიგრაციული კრიზისი პიკს აღწევს. გამონაკლისია დევიდ ეიმისის მკვლელობა, როგორც იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ძალადობა იმიგრანტებისა და მათი შთამომავლების მხრიდან დღემდე გრძელდება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელების მიერ ორგანიზებულ ტერორისტულ აქტებს მოჰყვება ადგილობრივების რეაქცია. ცნობილია 2011 წელს მომხდარი ტერაქტები ნორვეგიაში, რომელ-

იც მიმართული იყო ნორვეგის საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ, ასევე იმიგრაციის წინააღმდეგ მიმართული ტერაქტია 2019 წლის აგვისტოში ელ-პასოში მომხდარი მასობრივი სროლა და კრაისტერჩის ტერაქტი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია კრიმინოგენური ფაქტორი. იმიგრანტებში საკმაოდ მაღალია დანაშაულებრიობის დონე, რაც ასევე ქსენოფობიას ამზვავებს ადგილობრივ მოსახლეობაში. ხშირ შემთხვევაში მიგრანტები იძულებულები არიან არალეგალურ საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი,<sup>122</sup> თუმცა ასეთი ფაქტების გამართლება არ იქნება მართებული.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უკონტროლო მიგრაცია იწვევს მემარჯვენე ნაციონალისტური იდეების გავრცელებას ადგილობრივ მოსახლეობაში, რომლის შედეგადაც ძალადობის ფაქტები უფრო ხშირად ვლინდება. ვინაიდან მიგრაციული პროცესები მსოფლიო მასშტაბს მოიცავს, რასაკვირველია, ეს ყოველივე გლობალურ უსაფრთხოებას ეხება და მათი უკონტროლობა (არალეგალური და მასობრივი მიგრაცია) მსოფლიოსთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

---

122 Коллиер П. Исход. Как миграция изменяет наш мир. Издательство института Гайдара. Москва, 2016 год. гл. 222

## თავი მესამე. გლობალური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები

### 3.1. რესურსების დეფიციტი

მსოფლიოში შიმშილის არაერთი ფაქტი გვხვდება, რომლებმაც გამოიწვიეს ისეთი მასშტაბის დემოგრაფიული კატასტროფა, რომ შეცვალეს სოციალურ-პოლიტიკური და ეთნოდემოგრაფიული სურათი.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად გლობალურ დონეზე ხშირდება შიმშილის (საკვების დეფიციტი) ფაქტები. თანამედროვეობაში, ძირითად შემთხვევაში, ეს პროცესები ხდება აფრიკის კონტინენტზე (დემოგრაფიული აფეთქების ძირითად არეალში), რაც ორგანულია და აზიაში (დემოგრაფიული აფეთქება გარკვეულ ქვეყნებში და ჭარბმოსახლეობის პრობლემა).

კონტინენტებიდან მოსახლეობა ყველაზე სწრაფად იზრდება აფრიკის კონტინენტზე, ეს ფაქტი მრავალ პრობლემას იწვევს, ყველაზე თვალსაჩინოა შიმშილი. 2019 წლის მონაცემებით, აფრიკის მოსახლეობის თითქმის 20% (დაახლოებით 250 მილიონი ადამიანი) საკმარის საკვებს არ ღებულობს, შედარებისთვის ასეთი მაჩვენებელი აზიაში მხოლოდ 8,3%<sup>123</sup>, რაც შეეხება 2020 წლის მონაცემებს, აფრიკის კონტინენტზე საკვების უკმარისობა მოსახლეობის 21%-ს შეეხო, ხოლო აზიაში ეს მაჩვენებელი 9% უდრის.<sup>124</sup> როგორც ჩანს, ერთი წლის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის მდგომარეობა. ამავე

123 Положение дел в области Продовольственной безопасности и питания в мире. Продовольственная и сельскохозяйственная организация Объединенных Наций. Рим, 2020. гл. 8

124 The state of Food Security and Nutrition in the World. Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, 2021. гл. 12

მონაცემებით საკვების დეფიციტს მსოფლიოში 687 მილიონი ადამიანი (8,9%) განიცდის, ხოლო, რაც შეეხება პროგნოზს, მსოფლიოში ეს ციფრი 2030 წლისთვის 841 მილიონ-ამდე გაიზრდება (9,8%). თუმცა ჩოვიდ-19-ის პანდემიამ სერიოზული ზიანი მიაყენა სასურსათო უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია სამი სცენარი, თუ რამდენი ადამიანი ვერ მიიღებს საკმარის საკვებს 2030 წლისთვის.<sup>125</sup> შედეგად ჩოვიდ-19-ის პანდემიის გამო 2030 წლისთვის კვების ნაკლებობა შეეხება 909 მილიონ ადამიანს. თუმცა ამის მიზეზი მხოლოდ პანდემია არ არის, მოსახლეობის ზრდა განვითარებად ქვეყნებში ასევე იწვევს საკვების დეფიციტის გამწვავებას.

როგორც უკვე აღინიშნა, როდესაც მოსახლეობა იზრდება და ამასთანავე, ვერ ხერხდება ამ პროცესების რეგულირება და თუ ამას ემატება მოუსავლიანობა, დიდი ალბათობაა დემოგრაფიული კატასტროფის, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოწვეულია შიმშილით.

ახალ და უახლეს პერიოდში ამ კუთხით ყველაზე ხშირად ფიგურირებს აფრიკის კონტინენტი, იაპონია, ჩინეთი და სამხრეთ აზია (ბანგლადეში; ინდოეთი). ევროპიდან გამოირჩევა რუსეთი (შემდგომ საბჭოთა კავშირი) და ირლანდია. ძირითად შემთხვევაში მთავარ მიზეზად გვევლინება მოსახლეობის სწრაფი ზრდა და ჭარბმოსახლეობა.

თანამედროვეობაში სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულია მრავალ ქვეყანაში. აქედან თვალსაჩინოა: ეთიოპია, კენია, მადაგასკარი, მალავი, მოზამბიკი, რუანდა, ტანზანია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კონგოს რესპუბლიკა, ჩადი, ნამიბია, ანგოლა, ბოტსვანა, ჩრდილოეთ კორეა, ავღანეთი, ინდოეთი, ერაყი, პაკისტანი ახალი გვინეა და სხვ. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან აბ-

125 იქვე. გვ. 17

სოლუტურად ყველას ახასიათებს ე.ნ. „დემოგრაფიული აფეთქების“ ფენომენი, რაც იწვევს ჭარბი მოსახლეობის პრობლემას.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სიმჭიდროვეს. მასზეა დამოკიდებული თუ როგორი იქნება დასახლებული პუნქტების სპეციფიკა, ტყის ფართობი ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი არეალი, თუ როგორი არქიტექტურა იქნება ქალაქებში, რამდენად გამწვანებული იქნება და ა.შ. ვინაიდან, მოსახლეობის სიმჭიდროვე მჭიდრო კავშირშია ეკონომიკასა და სრულიად რესურსების გადანაწილებასთან, ხშირია ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება განვითარებად ქვეყნებში, რომლებმიც მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალ დონეზეა. ეს ფაქტორი (მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა) იწვევს ერთ სულ მოსახლეზე სამედიცინო პერსონალის ოდენობის შემცირებას,<sup>126</sup> რის შედეგადაც ეპიდემიებისა და პანდემიების რისკი მატულობს. თუ ამ ყოველივეს ემატება დემოგრაფიული აფეთქება, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას არ აქვს უნარი შეაჩეროს ეს პროცესი, იწყება რესურსების დეფიციტი, შედეგად შიმშილი. ამგვარი ვითარება ხშირ შემთხვევაში შეიძლებულ კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს. საინტერესოა სოციოლოგის პიტირიმ სოროკინის ნაშრომი „შიმშილი როგორც ფაქტორი“. კოლონიზაციათა მიზეზი ყოველთვის იყო საკვების ნაკლებობა, რაც გამოწვეული იყო დემოგრაფიული აფეთქებით. პ. სოროკინს მოჰყავს ბერძენთა კოლონიზაციის მაგალითი, რომელიც ანალოგიური მიზეზებით იყო განპირობებული.<sup>127</sup> საინტერესო

126 EhrlichPaulR. ThePopulationBomb. Population control or race to oblivion? NewYork, BallantineBooks, inc, 1969. გვ. 70

127 Сорокин П.А. Голод как фактор: влияние голода на поведение людей, социальную организацию и общественную жизнь. ООО

შედარებას აკეთებს პ. სოროკინი პერიკლეს დროინდელი (ძვ.წ. V საუკუნე) ათენის მოსახლეობის სიმჭიდროვესა (89 ადამიანი კვადრატულ კილომეტრზე) და უახლესი დროის საფრანგეთს შორის (73).<sup>128</sup> ომის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ავტორი შიმშილს მიიჩნევს, ასევე „იმპერიალიზმი“, „ბრძოლა სრუტეებისთვის“, „კოლონიებისთვის“, „მაღაროებისთვის“, „ზღვებზე ბატონობისთვის“, „ან-ექსიების და კონტრიბუციისთვის“, ყოველივე ეს ომების საფუძველია, რომელსაც საკვებისთვის ბრძოლა იწვევს.<sup>129</sup> 76-მილიონიანი (იმდროინდელი მოსახლეობა) იაპონიის იმპერიალიზმი და ახალი ტერიტორიების ექსპანსია გამოწვეულია საკვების უკმარისობით. აღსანიშნავია, რომ პ. სოროკინი ვარაუდობს ახალ ომებს, რომელთა კატალიზატორიც ჭარბი მოსახლეობა იქნება.<sup>130</sup> ჩინეთის ისტორიაზე საუბრისას, ყურადღებას აქცევს ჩინეთში მოსახლეობის სიმჭიდროვეს; მოსახლეობის სწრაფი ზრდა განაპირობებს აჯანყებებს, ხალხის მასების სიღარიბეს, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, შედეგად: ეპიდემიები, ომები, რევოლუციები.<sup>131</sup>

ამგვარად, შიმშილი გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომელიც ამავდროულად წარმოშობილია ეკოლოგიური უსაფრთხოების რღვევის შედეგად. ამის მაგალითია ინდოეთში არსებული შიმშილის ფაქტორისადმი მიძღვნილ ნაშრომში განხილული მიწის ხარისხის გაუარესება და ტყეების განადგურება.<sup>132</sup> თუ ამ

«Анбур», Сыктывкар, 2014. გვ. 247

128 იქვე. გვ. 248

129 იქვე. გვ. 256-257

130 იქვე. გვ. 257

131 იქვე. გვ. 296 გვ. 349

132 WilliamsLukyn. Famines in India. Their Causes and Possible prevention. HenryS. King&Co., London, 1876. გვ. 40

ფაქტორების გათვალისწინება არ ხდება, იწყება კრიზისი. ამიტომ იმისთვის, რომ ასეთი გამანადგურებელი პროცესები თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე გაკეთდეს პირვანდელი აქცენტი.

შიმშილი რომ არ იქნეს დაშვებული, სავალდებულოა ეკოლოგიაზე ზეწოლა, თუმცა რეალურად გარემოზე ზეწოლა დროებით შეაჩერებს რესურსების დეფიციტს და მომავალში უფრო მეტი პრობლემის კატალიზატორი გახდება, ვინაიდან, ეკოლოგიური უსაფრთხოების რღვევის შედეგად მათ შორის შიმშილის საშიშროება წარმოიქმნება.

### 3.2. სამოქალაქო კონფლიქტები

მოსახლეობის ზრდა, რომელიც საკვების დეფიციტთან იყო დაკავშირებული, ისტორიაში იწვევდა მრავალ კატაკლიზმებს, რომლებიც კაცობრიობის პროგრესს საუკუნეებით აფერხებდა.<sup>133</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, შიმშილი გვევლინება არაერთი პროცესის მამოძრავებელ ძალად, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ყოველივეს ფუნდამენტი ეკოლოგიური დეფიციტია.

ამერიკელი ბიოლოგი ჯარედ დაიმონდი, თავის ნაშრომში („კოლაფსი“) საუბრობს აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში არსებულ დემოგრაფიულ აფეთქებაზე. იგი ახსენებს თ. მალთუსის დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით: მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესით, ხოლო საკვების წარმოება არითმეტიკული პროგრესით.<sup>134</sup> შემთხვევითი არ არის, რომ მისი ნაშრომის მეათე თავს ეწოდება „მალთუსი აფრიკაში“. იქვე ავტორმა აღნიშნა,

133 Кейнс Дж. М. Избранные произведения. Экономика. Москва, 1993. გვ. 30

134 Даймонд Дж. Коллапс. Почему одни общества выживают, а другие умирают: М. «АСТ МОСКВА», 2008. გვ. 431-432

რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება შესაძლებელია ნებაყოფლობით (მაგალითად, იტალია და იაპონია) ან სახელმწიფოს კონტროლის მეშვეობით (ჩინეთი). როდესაც ქვეყანას დემოგრაფიული პროცესების კონტროლის უნარი არ გააჩნია, ასეთი მდგომარეობა კატასტროფულ ვითარებამდე შეიძლება მივიდეს. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სამოქალაქო ომი რუანდაში (1990-1994). ეს იყო დაპირისპირება ჰუტუსა და ტუტსის ეთნოსს შორის, ადგილი ჰქონდა გენოციდს, რომლის შედეგადაც მოკლულ იქნა დაახლოებით 800 ათასი ეთნიკური ტუტსი. თუმცა არ იქნება ზუსტი სამოქალაქო ომის მიზეზად მხოლოდ ეთნიკური დაპირისპირება მივიჩნიოთ. ამის დასტურია ფაქტი, რომელზეც ჯ. დაიმონდი აქცენტს აკეთებს: 1994 წლიდან ჰუტუს ნარმომადგენლებმა ერთმანეთზე დაიწყეს თავდასხმები.<sup>135</sup> უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუანდა ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა და იზრდება, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწების დეფიციტს. მდგომარეობას ამძიმებს ასევე არამოდერნიზებული სოფლის მეურნეობა, რაც ეკოლოგიას უდიდეს ზიანს აყენებს, ამას ემატება ხეების მასობრივი ჭრა, იწყება გაუტყეურება და ნიადაგის ეროზია. ამას დაემატა 1989 წლის გვალვა, რაც გამოწვეული იყო ტყეების განადგურებითა და კლიმატის გლობალური ცვლილებით.<sup>136</sup> რუანდას შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შემდეგ თანმიმდევრობას: დემოგრაფიულ აფეთქებას, ჭარბ მოსახლეობას, ეკოლოგიურ კატასტროფას, შიმშილს, სამოქალაქო ომს. რუანდას სამოქალაქო ომის შემთხვევაში ჩვენ

135 Даймонд Дж.Коллапс. Почему одни общества выживают, а другие умирают: М. «АСТ МОСКВА», 2008. გვ. 440

136 იქვე. გვ. 442

ვხედავთ, რომ ძალადობის პირველმიზეზს წარმოადგენს დემოგრაფიული აფეთქება, რომელმაც გამოიწვია ტერი-ტორიებისთვის ბრძოლა და მიწების გადანაწილება. კ. დაიმონდი არ გამორიცხავს, რომ მსგავსი რამ რუანდაში კვლავ განმეორდეს, რადგან მოსახლეობა საკმაოდ სწრა-ფად იზრდება.<sup>137</sup>

რესურსების დეფიციტი შეგვიძლია ჩავთვალოთ ეკოლოგიური დეფიციტის შედეგად. სამოქალაქო ომი რუ-ანდაში სასოფლო-სამეურნეო დაპირისპირების მაგალი-თია, რაც გამოწვეულ იქნა ეკოლოგიის დეგრადაციით.

ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებისთვის მნიშ-ვნელოვანია, რომ სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში არ იყოს კარდინალური განსხვავებები. თუ ახალგაზრდების პროცენტი დაბალია, დეპოპულაცია აქტიურ ფაზაში შედის, მაგრამ თუ პირიქით, მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენენ ახალგაზრდები, ამ შემთხვევაში გარდუვალია სოციალური პრობლემები, რომლებმაც ამავდროულად შეიძლება გა-მოიწვიოს რევოლუციები, დანაშაულებრიობის ზრდა და ა.შ. ამერიკელი სოციოლოგის ჯეკ გოლდსტოუნის აზრით, ისტორიაში 15-24 წლის ახალგაზრდები პოლიტიკურ ძალ-ადობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.<sup>138</sup> „არაბული გაზაფხული“ ერთ-ერთია იმ მოვლენებიდან, რომელიც ამას ადასტურებს. მოსახლეობაში ახალგაზრდების პროცენტის სწრაფი ზრდის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შედე-გია უმუშევრობა. ეს ფენომენიც თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომელიც ასევე „მუდ-მივ“ დემოგრაფიულ აფეთქებასთან არის დაკავშირებული,

137 Даймонд Дж. Коллапс. Почему одни общества выживают, а другие умирают: М. «АСТ МОСКВА», 2008. გვ. 452

138 Goldstone J. Population and Security: How Demographic Change Can Lead to Violent Conflict. Journal of International Affairs. Vol. 56. New York, 2002. გვ. 11

უმუშევართა რაოდენობა ამ პროცესებთან ერთად იზრდება. ზემოთ განხილულ დემოგრაფიულ ციკლებში კარგად ჩანს, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად ცხოვრების ხარისხი რევრუსს განიცდის, ამას ემატება უმუშევრობის ფაქტორი, ხელფასების შემცირება, გადასახადების ზრდა და სხვ.

ამგვარად, სამოქალაქო ომი რუანდაში (1990-1994) დემოგრაფიული კატასტროფის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, როდესაც მოსახლეობის ზრდის ტემპები უარყოფითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე. სამოქალაქო დაპირისპირებათა უდიდესი ნაწილი ზუსტად ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, სამოქალაქო ომების უმრავლესობა შეგვიძლია ამ კუთხით განვიხილოთ.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიული აფეთქება სამოქალაქო ომის გარდა, შესაძლოა ქვეყნებს შორის დაპირისპირების მიზანიც გახდეს. ამ შემთხვევაში ომის მთავარი მიზანია მეზობელი ქვეყნის რესურსების დაუფლება. სიტუაცია უფრო მწვავდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა საკვების იმპორტზეა დამოკიდებული.

### 3.3. „ციკლიზაციათა შეჯახება“ თუ „რესურსებისთვის ომი“?

XX საუკუნის გამოჩენილი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინისი პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის მდგრმარეობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ომისგან განადგურებული ევროპა ვერ შეძლებდა საკუთარი თავის გამოკვებას და, რომ შიმშილის საშიშროება სრულიად ცივილიზაციას უქმნიდა საფრთხეს.<sup>139</sup> აქედან გამომდინარე,

139 Кейнс Дж. М. Избранные произведения. Экономика. Москва, 1993. гл.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპას უკვე ახასიათებდა ჭარბი მოსახლეობა.

ამ პერიოდის დემოგრაფიული აფეთქება „შეაჩერა“ მსოფლიო ომებმა, რომლებიც სწორედ ამ აფეთქების შედეგად იყო ინსპირირებული.

მეორე მსოფლიო ომზე რომ აღარაფერი ვთქვათ, „ცივი ომის“ დასასრული ყველამ თავისებურად შეაფასა. საინტერესოა ამერიკელი პოლიტოლოგების, ფრენსის ფუკუიამას („ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“) და სემიუელ ჰანტინგტონის („ცივილიზაციების შეჯახება. მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“) დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ფ. ფუკუიამას მიაჩნდა „ცივი ომის“ დასრულება როგორც დასავლური ცივილიზაციის, ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფი. შედარებით უფრო ზუსტი შეფასება გააკეთა ს. ჰანტინგტონმა, რომლის აზრით, იწყებოდა ახალი ერა მსოფლიო პოლიტიკაში. პირველად ისტორიაში გლობალური პოლიტიკა მულტიპოლუსური და მულტიცივილიზაციურია, მოდერნიზაცია გამოყოფილია ვესტერნიზაციისგან, დასავლეთის გავლენა შესუსტდა, იზრდება აზიის ცივილიზაციების ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება.<sup>140</sup>

მსოფლიო ცივილიზაციები ს. ჰანტინგტონის მიხედვით:<sup>141</sup>

1. დასავლური ცივილიზაცია
2. ლათინოამერიკული ცივილიზაცია
3. მართლმადიდებლური ცივილიზაცია
4. აფრიკული ცივილიზაცია
5. ისლამური ცივილიზაცია

140 Samuel Huntington. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order Simon and Schuster. New York, 1996. გვ. 20

141 Samuel Huntington. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order Simon and Schuster. New York, 1996. გვ. 26

6. სინის ცივილიზაცია
7. იაპონური ცივილიზაცია
8. ინდუისტური ცივილიზაცია
9. ბუდისტური ცივილიზაცია

დასავლეთის მთავარ მოწინააღმდეგედ ს. ჰანტინგტონი ისლამურ ცივილიზაციასა და ჩინეთს თვლის. ამადროულად იგი აღნიშნავს, რომ კონფლიქტები შესაძლოა მოხდეს ცივილიზაციის შიგნითაც. ამ შემთხვევაში რა უფრო მნიშვნელოვანია? ცივილიზაცია თუ ქვეყნის უზრუნველყოფა რესურსებით? ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის კონფლიქტის (რომელიც 2021 წლის 28 აპრილს დაიწყო და 1 მაისს დასრულდა) მიზეზი გახდა სარწყავი წყალი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანაში მოსახლეობის სიმჭიდროვე სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო დაბალია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორივე ქვეყანაში მოსახლეობა საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდება: 2018 წლის მონაცემებით, მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყირგიზეთში 138.160, ხოლო ტაჯიკეთში 198.321 ადამიანი იყო.<sup>142</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყანა ისლამური ცივილიზაციის ნაწილია, თუმცა რესურსების გამო მათ შორის შეიარაღებულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. ასევე აღსანიშნავია ამავე ჰერიოდში მომხდარი დაპირისპირება საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის. საქმე იმაშია, რომ კუნძულ ჯერსის (დიდი ბრიტანეთის ტერიტორია ლა მანშის სრუტეში) ადმინისტრაციამ თევზჭერის შეზღუდვები დააწესა, რის გამოც საფრანგეთის საზღვაო საქმეთა მინისტრმა ანიკ ჟირარდენმა გადაწყვიტა კუნძულზე ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, სანამ თევზჭერის უფლება არ აღდგებოდა. პარიზმა განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს არ

---

142 Population and Vital Statistics Report. Statistical Papers. Series A Vol. LXXIII. United Nations. New York, 2021. გვ. 19

აქვს უფლება შეზღუდოს ფრანგი მეთევზები, რაც ნიშნავს ლონდონის მხრიდან შეთანხმების დარღვევას. საინტერესო ფაქტია ის, რომ ჯერსის ადმინისტრაციამ ყველა მეთევზეს არ აუკრძალა თევზჭერა, არამედ თევზაობის ნება დართეს 41 გემს 344-დან. ამის გამო ჯერსის დედაქალაქი ფრანგული გემების მიერ დაბლოკილ იქნა. შედეგად დიდი ბრიტანეთის ფლოტი კუნძულის მიმართულებით დაიძრა „მონიტორინგის“ მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკადა მალევე დასრულდა, ეს პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება. ორივე მხარე ერთმანეთს დარღვევებში ადანაშაულებს.

როგორც ყირგიზეთი და ტაჯიკეთი წარმოადგენენ ისლამურ ცივილიზაციას, ასევე საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი წარმოადგენენ დასავლურ ცივილიზაციას, თუმცა რესურსების გამო მათ შორის ასევე იწყება დაპირისპირება. რაც შეეხება დემოგრაფიულ საკითხს, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთისგან განსხვავებით, დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე ბევრად მაღალია, ამასთანავე, ბუნებრივი მატება ახასიათებს ოთხივე ქვეყანას, რასაკვირველია, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში ბუნებრივი მატება ბევრად ნელი ტემპებით მიმდინარეობს ტაჯიკეთსა და ყირგიზეთთან შედარებით, თუმცა ფაქტია, იმ ქვეყანას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნებრივი მატება, ამასთანავე, ესაჭიროება მეტი რესურსი. გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს მიგრაციის დადებითი მაჩვენებელი ახასიათებს. შედეგად ამ ორი ქვეყნისთვის დამახასიათებელია: მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალი დონე, მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა და ამავდროულად მიგრაციის შედეგად მოსახლეობის მატება.

გამონაკლისია მიგრაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა დემოგრაფიული პროცესების სტაბილიზაცია, თუმ-

ცა მხოლოდ ამ ფენომენზე დაყრდნობა არ არის გამოსავალი.

იყო თუ არა პირველი მსოფლიო და მეორე მსოფლიო ომი „ცივილიზაციური შეჯახება“? რასაკვირველია, არა. პირველი მსოფლიო ომის დროს „ანტანტაში“ შედიოდა: საფრანგეთი (დასავლური ცივილიზაცია), რუსეთის იმპერია (მართლმადიდებლური ცივილიზაცია) და დიდი ბრიტანეთი (დასავლური ცივილიზაცია), ხოლ სამთა კავშირში: გერმანიის იმპერია (დასავლური ცივილიზაცია), ბულგარეთის სამეფო (მართლმადიდებულური ცივილიზაცია), ავსტრია-უნგრეთი (დასავლური ცივილიზაცია) და ოსმალეთის იმპერია (ისლამური ცივილიზაცია). შემდგომ ანალოგიური სიტუაცია იქმნება მეორე მსოფლიო ომის დროს. ანტიპიტლერულ კოალიციაში გაერთიანდა დასავლური ცივილიზაცია, მართლმადიდებლური ცივილიზაცია (ევრაზიული), სინის ცივილიზაცია და სხვ. ლერძის ქვეყნები და მათი მოკავშირეები: დასავლური ცივილიზაცია (იტალია; გერმანია; უნგრეთის სამეფო და სხვ.), იაპონია (იაპონური ცივილიზაცია), მართლმადიდებლური ცივილიზაცია (ბულგარეთი, რუმინეთი), ბუდისტური ცივილიზაცია (ტაილანდის სამეფო), ისლამური ცივილიზაცია (ერაყი, სადაც რაშიდ ალი-გაილანის მომხრეებმა 1941 წელს მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება). ეს იყო რეჟიმების, იდეოლოგიების დაპირისპირება, მსოფლიო ასპარეზზე თავიანთი პოზიციების განმტკიცებისთვის.

აქედან გამომდინარე, მთავარი კითხვაა, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია – ცივილიზაციური კუთვნილება თუ რესურსები, რომლებიც ქვეყნის კეთილდღეობისთვის არის უმთავრესი. მტკნარ წყალს უმთავრესი ადგილი უკავია ეკონომიკისთვის, ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი კონფლიქტები, რომლის მთავარი მიზეზიც ზუსტად მტკნარი

წყალი ხდება. ამ შემთხვევაში ცივილიზაციური ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის.

პირველი და მეორე მსოფლიო ომები ეს იყო ომები რესურსებისთვის. ახალი არეალის დაკავებასთან ერთად მთავარი მიზეზია ნავთობის დაუფლება. აქედან გამომდინარე, იწყება ნავთობისთვის ომები, ხოლო ომები, რესურსების ტრანსპორტირება და ნავთობთან დაკავშირებული კრიზისები იწვევდა სიკვდილიანობის მატებას. შედეგად 1917-1919 წლებში ირანში 9-11 მილიონი ადამიანი დაიღუპა საკვების დეფიციტის გამო.<sup>143</sup> არსებულ ნაშრომში განხილულია, თუ როგორ ცდილობდნენ სახელმწიფოები XX საუკუნის პირველ ნახევარში ნავთობით მდიდარი ტერიტორიების დაუფლებას. თანამედროვეობაშიც ანალოგიური სურათი გვხვდება, როდესაც მსოფლიო დამოკიდებულია ნავთობზე, მაგრამ არის „არეალი“, სადაც ნავთობთან დაკავშირებული საკითხები ბევრად უფრო მწვავეა. ასეთია ნიგერია, რომლის ეკონომიკაც დამოკიდებულია ნავთობზე და ამავდროულად ნავთობის ობიექტები ხდება სხვადასხვა დაჯგუფების სამიზნე, რაც აფერხებს ქვეყნის განვითარებას. ამ ყოველივეს ადასტურებს სამოქალაქო ომი ნიგერიაში (1967-1970). იწყება ახალი მოძრაობების ჩამოყალიბება, რომლებიც ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის და ნავთობრესურსების არათანაბარი გადანაწილების წინააღმდეგ გამოდიან.<sup>144</sup> შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო ომი ნიგერიაში (1967-1970), რომლის დროსაც მილიონობით ადამიანი დაიღუპა, გამონვეული იყო ნავთობის რესურსების გამო. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ნავთობის ფაქტორმა განაპირობა საერთაშორისო საზო-

143 Winegard Timothy C. The First World Oil War. University of Toronto, 2016. გვ. 85

144 Kaldor Mary, Lynn Karl Terry, Said Yahia. Oil Wars. Pluto Press, 2007. გვ. 43

გადოების ჩარევა ამ კონფლიქტში.<sup>145</sup> თუმცა სამოქალაქო ომის შემდეგ დაპირისპირება რესურსების გადანაწილებისთვის მაინც გრძელდება. ძირითადად გააქტიურებულია ელიტა, არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები, რომლის მთავარი მიზეზია ნავთობი.<sup>146</sup> ანალოგიური მდგომარეობა ანგოლის რესპუბლიკაში, რომელიც მდიდარია ნავთობის რესურსებით და სადაც მუდმივი სახე მიიღო შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რომლის შედეგია შიმშილი და დეპოპულაცია.<sup>147</sup> ბრძოლამ ანგოლის რესურსებისთვის დემოგრაფიულ კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა. უდიდესი დარტყმა მიიღო სოფლის მეურნეობამ, გაიზარდა სილარიბის დონე, მოსახლეობა იძულებულია ქვეყნის დატოვება დაიწყოს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ნიგერიას ასევე ანგოლას, ახასიათებდა და ახასიათებს მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა. არსებულ ნაშრომში ასევე განხილულია ნავთობთან დაკავშირებული კონფლიქტები, კერძოდ, მთიანი ყარაბაღის (აზერბაიჯანშიც და სომხეთშიც მოსახლეობის ბუნებრივი მატება შეიმჩნევა), ჩეჩენეთის (მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა), კოლუმბიის (ჩეჩენეთის ანალოგიური მდგომარეობა) და აჩეპის (ჭარბი მოსახლეობა) საკითხი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, სადაც 1971 წელს აღმოაჩინეს ბუნებრივი გაზი,<sup>148</sup> მთავრობამ გაგზავნა შეიარაღებული ძალები, რათა რესურსებზე კონტროლი დამყარებული, ვინაიდან ინდონეზიის ამ რეგიონში ეთნიკური და რელიგიური კუთხით მდგომარეობა რესპუბლიკის შექმნის დასაბამიდან დაძაბული იყო. იდეოლოგიური დაპირისპირება

145 Kaldor Mary, Lynn Karl Terry, Said Yahia. Oil Wars. Pluto Press, 2007. გვ. 45

146 იქვე. გვ. 58

147 იქვე. გვ. 104

148 იქვე. გვ. 183

გააძლიერა რესურსების დაუფლებისთვის ბრძოლამ. ნავთობისთვის ბრძოლის ძალიან ბევრი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. ერთ-ერთი უკვე განხილულ იქნა – პირველი მსოფლიო ომის დროს ნავთობის რესურსით დაუფლების მცდელობა.<sup>149</sup> ანალოგიური შეფასება აქვს მეორე მსოფლიო ომს, ირან-ერაყის ომი (1980-1988), ომი სპარსეთის ყურეში (1900-1991), ასევე ნიგერიაში ნავთობის გარშემო არსებული კრიზისი კვლავ მწვავდება.

ნავთობის გარდა ერთ-ერთ უმთავრეს საარსებო წყაროდ გვევლინება მტკნარი წყალი. ზემოთ განხილულ იქნა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის, ასევე ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის მაგალითები, თუმცა ცოტა ადრეულ პერიოდში ყურადღებას იპყრობს მავრიტანიისა და სენეგალის დაპირისპირება. აღნიშნული საკითხი განხილული აქვს თავის ნაშრომში<sup>150</sup> კანადელ პოლიტოლოგს თომას დიქსონს. სენეგალს სასოფლო-სამეურნეო მიწები უხვად აქვს, თუმცა ამავდროულად ამ მიწების დიდი ნაწილისთვის დამახასიათებელია ეროზია. ავტორი აქცენტს აკეთებს მოსახლეობის სიმჭიდროვეზე (38 ადამიანი ერთ კვადრატულ კილომეტრზე) და მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე (2.8% წელიწადში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია). მოსახლეობის ბუნებრივი მატების ასეთი ტემპებიდან გამომდინარე, სენეგალის მოსახლეობა 25 წლის განმავლობაში გაორმაგდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძველი მონაცემებია, უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზი ზუსტი აღმოჩნდა. ავტორის მიერ განხილულ პერიოდში სენეგალის მოსახლეობა დაახლოებით 8 მილიონ ადამიანს

149 Winegard Timothy C. The First World Oil War. University of Toronto, 2016.

150 Homer-Dixon T. F. Environmental Scarcities and Violent Conflict: Evidence from Cases. International Security, Vol. 19, No. 1 (Summer, 1994)

შედგენდა,<sup>151</sup> ხოლო 2018 წლის მონაცემებით, 15.726.037 ადამიანს.<sup>152</sup> სენეგალთან შედარებით მავრიტანიის მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ დაბალია, თუმცა მოსახლეობის ბუნებრივი მატება, ისევე როგორც სენეგალის შემთხვევაში, საკმაოდ მაღალია – 2.9% წელიწადში. შედეგად ჯერ კიდევ 1982 წელს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ ორივე ქვეყანა „კრიტიკული“ ქვეყნების სიაში შეიყვანა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ქვეყნებმა უნდა გაზარდონ სოფლის მეურნეობის არეალი, ნინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებენ მოსახლეობის უზრუნველყოფას. 1970-იან წლებში იყო მცდელობა, რომ ლოკალური პრობლემის გადაჭრაში ჩარეულიყო საერთაშორისო საზოგადოება, თუმცა ეს ყოველივე წარუმატებლად დასრულდა. მავრიტანიამ, რომლის ელიტა მავრებისგან შედგება, მიიღო კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც „შავ“ აფრიკელებს სოფლის მეურნეობის წარმოება აეკრძალათ.

მავრიტანიაც და სენეგალიც ისლამურ ცივილიზაციას წარმოადგენენ. თუმცა ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო მიწების დეფიციტის გამო იწყება კონფლიქტი, რომლის დროსაც ორივე ქვეყანაში ძალადობა მძვინვარებს. სენეგალში 17000 მაღაზია გაანადგურეს, რომლებიც მავრებს ეკუთვნოდათ, ხოლო მათი მესაკუთრეები გადაასახლეს. ამავდროულად 70000 შავი მავრიტანიელი სენეგალში გადაასახლეს. იყო მცდელობები ქვეყანაში შეჭრის და საზღვრებთან დაპირისპირება.<sup>153</sup>

151 Departments of Economic and social Affairs. 2000. United Nations Demographic Yearbook. United Nations. New York, 2002. გვ. 151

152 Departments of Economic and social Affairs. 2018. United Nations Demographic Yearbook. United Nations. New York, 2019. გვ. 139

153 Homer-Dixon T. F. Environmental Scarcities and Violent Conflict: Evidence from Cases. International Security, Vol. 19, No. 1 (Summer, 78

მავრიტანიისა და სენეგალის შემთხვევაშიც კარგად ჩანს მიწების დეფიციტისა და დემოგრაფიული აფეთქების ეფექტი, რომელმაც გამოიწვია ძალადობა. მავრიტანიის ელიტამ რესურსები თავის სასარგებლოდ გადაანაწილა.

წყლის დეფიციტის, მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და რესურსების გადანაწილებისთვის კონფლიქტის ერთ-ერთი მაგალითია მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირი.<sup>154</sup> ისრაელსა და პალესტინაში მოსახლეობა იმიგრაციის გარეშეც საკმაოდ სწრაფად იზრდება, რის გამოც წყლის რესურსის დეფიციტი უფრო მწვავდება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არაერთ კონფლიქტს, რომლის შედეგადაც ისრაელმა მოახერხა კონტროლის დამყარება წყლის რესურსზე, რაც მით უმეტეს ამ რეგიონისთვის სასიცოცხლოა. გოლანის მაღლობის დაკავებით ისრაელმა სრული კონტროლი დაამყარა ტიპერიადის ტბაზე, რაც, რასაკვირველია, მხოლოდ სტრატეგიული კუთხით არ არის მნიშვნელოვანი.

დემოგრაფიული აფეთქებისა და წყლის რესურსების კრიზისის ერთ-ერთი ეტაპი ფილიპინებს ეხება. ამ ქვეყნის მაგალითზეც კარგად ჩანს ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ზრდასთან, რესურსების არათანაბარ გადანაწილებასა და ამბოხებებთან.<sup>155</sup> აქედან გამომდინარე, თომას დიქსონის ნაშრომში გვხვდება დემოგრაფიული ციკლები (ამ შემთხვევაში ეკოლოგიური უსაფრთხოების ლიკვიდაცია, ხელფასების კლება, სრული ეკონომიკური კატასტროფა, მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება). ავტორი აქცენტს აკეთებს ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონებზე, სადაც ანალოგიური

1994). გვ. 13

154 იქვე. გვ. 14

155 იქვე. გვ. 15

პროცესები მიმდინარეობს (ჰიმალაი; ინდონეზია; ბრაზილია; კოსტა-რიკა; საჰელი).

სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიდან აირიდონ ასეთი მდგომარეობა. გამოსავალია მომხმარებლობაზე უარის თქმა, რაც ნიშნავს ბუნების ექსპლუატაციაზე უარის თქმას. პრობლემა, რასაკვირველია, მხოლოდ მომხმარებლობაში არ არის, მოსახლეობის ზრდა და რესურსების არათანაბარი გადანაწილება ძალზედ უარყოფითად აისახება ისეთ რეგიონებზე, სადაც ისედაც რესურსების დეფიციტი და ეკოლოგიური პრობლემები შეიმჩნევა.<sup>156</sup>

აღსანიშნავია, რომ დიქსონს რესურსებისთვის ბრძოლაზე საუბრისას ასევე ნახსენები აქვს მეორე მსოფლიო ომი, კერძოდ, იაპონიის საკითხი, რომელიც ნავთობს უკავშირდება. გარდა ამისა, აქცენტი გაკეთდა სპარსეთის ყურის ომზე, რომელიც ასევე ნავთობის გამო მიმდინარეობდა. უმთავრესი რესურსი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, არის მტკნარი წყალი და ნავთობი. ასევე ტყეები და სახნავი მინა ნარმოადგენენ ქვეყნის სიმდიდრეს. თუმცა რაც შეეხება მტკნარ წყალს, ამ მხრივ უკვე განხილულ კონფლიქტების გარდა, საყურადღება ეგვიპტისა და ეთიოპიის, ასევე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ლესოთოს დაპირისპირება.<sup>157</sup> ოცდაათი წლის განმავლობაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აწარმოებდა წარუმატებელ მოლაპარაკებებს ლესოთოსთან, რათა ლესოთოს მთიდან წყალი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გვალვიან რეგიონში, ტრანსვალში მიემართათ. 1986 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხარდაჭერით ლესოთოში სამხედრო გადატრიალება მოხდა. გადატრიალების მხარდაჭერის

156 Homer-Dixon T. F. Environmental Scarcities and Violent Conflict: Evidence from Cases. International Security, Vol. 19, No. 1 (Summer, 1994). გვ. 17

157 იქვე გვ. 19

მიზეზი იყო ლესოთოს მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონინაალმდეგე პარტიზანების მხარდაჭერა, თუმცა ფაქტია, გადატრიალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ განხორციელდა პროექტი, რომლითაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ წყლის პრობლემის გადაჭრა მოახერხა. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება სახელმწიფო გადატრიალების მხარდაჭერის მთავარი მიზეზი.

ინდოეთსა და პაკისტანს შორის ურთიერთობებს წყლის რესურსის გამო უფრო ამწვავებდა კაშმირის რეგიონი, ნილოსის გარშემო ეგვიპტესა და სუდანს შორის არსებული დაძაბულობა (1958 წელი) დასრულდა, სუდანის ხელისუფლებაში პროეგვიპტური ძალები აირჩიეს.<sup>158</sup> ვოლფს ნაშრომში განხილული აქვს, რომ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ გამოავლენა 3600-ზე მეტი შეთანხმება წყლის რესურსთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელებულ იქნა 1805-1984 წლებში.<sup>159</sup> აქედან გამომდინარე, მტკნარი წყალი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის არსებობისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ბევრად მნიშვნელოვანი, ვიდრე ნავთობის რესურსები. გარკვეულ-წილად წყლის რესურსი წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნდამენტს, რომლის გარეშეც შეუძლებელია არა მარტო პროგრესი, არამედ არსებობა. ამიტომ მომავალში მოსახლეობის ზრდასთან ერთად წყლის რესურსებთან არსებული კრიზისი უფრო გამწვავდება. ამგვარად, შეიარაღებული დაპირისპირების არაერთი მაგალითი იქნა მოყვანილი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის ინიციატორებად გვევლინებიან ქვეყნები, რომლებიც მდებარეობენ მდინარეების შესართავებთან. ანუ ამ შემთხ-

158 Wolf A. Conflict and Cooperation along International Waterways. Water policy. Vol. 1. No 2, 1998. გვ. 254

159 იქვე. გვ. 255

ვევაში მდინარის სათავესთან მდებარე ქვეყანა პრივი-ლეგირებულ მდგომარეობაშია, თუმცა ეს პრივილეგია ერთგვარ საფრთხედ შეგვიძლია ჩავთვალოთ, ვინაიდან, თუ ქვეყნებს შორის შეთანხმება ვერ შედგება წყლის რე-სურსების გადანაწილებასთან დაკავშირებით, დიდი აღბა-თობით, შესაძლოა პრივილეგირებული ქვეყანა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს.

ამგვარად, უდავოა, რომ ქვეყნის სიმდიდრეს მნიშვნელოვნად განაპირობებს წყლის რესურსები, მით უმეტეს დემოგრაფიული აფეთქების შემთხვევაში, როდესაც წყალ-სა და ნებისმიერ რესურსზე მოთხოვნა იზრდება, აუცილებელია ზომების მიღება, რათა მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს. აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი სხვადასხვა სახის კონფლიქტი რესურსების პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით, თუმცა აღტერნატივად უნდა ჩაითვალოს დემოგრაფიული პოლიტიკა, ვინაიდან, რე-სურსების კრიზისების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევია მოსახლეობის ზრდა.

**თავი მეოთხე. დემოგრაფიული ციკლების დასასრული.  
შობადობის რეგულირება როგორც ალტერნატივა**

#### **4.1. „ერთი ბავშვის“ პოლიტიკა ჩინეთში**

დემოგრაფიულ პოლიტიკას თავისი ისტორია აქვს. ქვეყნის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სრულიად სოციალური კეთილდღეობისთვის აუცილებელია დემოგრაფიული პროცესების კონტროლი. დემოგრაფიული აფეთქების შეჩერების, მოსახლეობის დინამიკის დაბალანსების ყველაზე ჰუმანური გამოსავალია შობადობის კონტროლი. ამ უკანასკნელისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, არიან მომხრეები და მოწინააღმდეგები.

XX საუკუნეში დემოგრაფიული პროცესების სტაბილიზაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის „ერთი ბავშვის პოლიტიკა“, რომელმაც შეაჩერა დემოგრაფიული აფეთქება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თუმცა ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკაში 2016 წელს შესწორება შეიტანეს და ბავშვების რაოდენობა ოჯახში 1-ის მაგივრად 2 გახდა, ვინაიდან ჩინეთის მოსახლეობამ ძალიან სწრაფად დაიწყო დაბერება. 2021 წელს ჩინეთის მთავრობამ ნება დართო ბავშვების რაოდენობის გაზრდას, შედეგად ბავშვების რაოდენობა ოჯახში 2-ის მაგივრად 3 გახდა. ამ შემთხვევაში მიზეზი არა მარტო მოსახლეობის დაბერება, არამედ 2020 წლის მონაცემების მიხედვით, შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ერთი ბავშვის პოლიტიკა“ არ ვრცელდებოდა მთელ მოსახლეობაზე, გამონაკლისი იყო სოფლის მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები. ქრონოლოგიურად ამგვარი პოლიტიკა გამოწვეულ იქნა სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ,

1949 წელს, როდესაც მოსახლეობის სწრაფ ზრდას მოჰყვა 1959-1962 წლების შიმშილი. შემდგომ იწყება დემოგრაფიული აფეთქება, რომლის აღკვეთის მიზნით ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა ზემოთ ხსენებული დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოება.<sup>160</sup> 1970-იანი წლებიდან შემოღებულ იქნა შობადობის კვოტები, რომლებიც თავდაპირველად რეგიონულ ხასიათიდან გამომდინარე გასხვავდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „ერთი ბავშვის პოლიტიკა“ მთელ მოსახლეობაზე არ ვრცელდებოდა, მან შეძლო დემოგრაფიული აფეთქების შეჩერება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის მოსახლეობა დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოებიდან დღემდე იზრდებოდა, შემდეგ ზრდის ტემპმა იკლო – 2.5%-დან 0.5%-მდე,<sup>161</sup> რაც საკმაოდ დადგებითი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არსებული დემოგრაფიული პოლიტიკა არ ვრცელდებოდა მთელ მოსახლეობაზე. შედეგად გაიზარდა ხელფასები, ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდა, ბავშვების რაოდენობის შემცირებასთან ერთად, მათზე ბევრად მეტი რესურსი ფიქსირდება,<sup>162</sup> რაც, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, რადგან აქცენტი კეთდება არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე. ჭარბმოსახლეობის პრობლემის შესახებ მათ ძელუნიც საუბრობდა, თუმცა თავდაპირველად იგი პრონატალიზმის მომხრე იყო.<sup>163</sup> მისივე ინიციატივით გადაწყდა, რომ აუცილებელი იყო მოსახლეობის ზრდის კონტროლი.

160 Wang Fei, Zhao Liqiu, Zhao Zhong. China's Family Planning Policies and Their Labor Market Consequences, IZA Discussions Papers, No. 9746, Institute for Study of Labor (IZA), Bonn. 2016. გვ. 2

161 იქვე-გვ. 6

162 იქვე- გვ. 13

163 Zhang Junsen. The Evolution of China's One-Child Policy and Its Effects on Family Outcomes. The Journal of Economic Perspectives, Winter 2007, Vol. 31, No. 1. American Economic Association. გვ. 142

„ერთი ბავშვის“ პოლიტიკის ცვლილება, როგორც უკვე აღინიშნა, განპირობებული იყო მოსახლეობის დაბერებით, თუმცა ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს დემოგრაფიულ ციკლებს, ვინაიდან, შობადობის ზრდა გარკვეულ პერიოდში მიმდინარეობს და შემდგომ მაინც კლებულობს დროთა განმავლობაში.<sup>164</sup> ამიტომ ჩინეთის მოსახლეობა, თუ გააგრძელებს სტაბილიზაციას, შობადობის გაზრდის ინიციატივა შედეგს ვერ მიაღწევს. გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე ჩინეთს ჭარბმოსახლეობის პრობლემა ახასიათებს, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ სტაბილიზაცია განხორციელდება, თუ ჩინეთის მთავრობის მიერ შობადობის რეგულირების პოლიტიკა დააჩქარებს ამ პროცესს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პოლიტიკის მთავარი ინიციატორი დენ სიაპინი იყო.<sup>165</sup> მნიშვნელოვანია თუ რამდენად იმოქმედა ამ პოლიტიკამ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ცვლილებაზე, 1970 წელს 5.8-დან 2.8-დე 1978 წლისთვის, რაც დიდი მიღწევაა ასეთ მცირე დროში. 1995 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ჩინეთში 1.8-ს შეადგენდა.

ამგვარად, ჩინეთმა სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის მეშვეობით მოახერხა მოსახლეობის სტაბილიზაცია, რამაც განაპირობა ქვეყნის პროგრესული განვითარება (შიმშილის აღკვეთა; სიღარიბისა და უმუშევრობის შემცირება; ხელფასების ზრდა), ყოველივე ამან კი თავისთავად განსაზღვრა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და დღეს ჩინეთი მსოფლიოსთვის თავისი მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებით უდიდეს გამოწვევად გადაიქცა.

---

164 Wang Fei, Zhao Liqiu, Zhao Zhong. China's Family Planning and Their Labor Market Consequences, IZA Discussions Papers, No. 9746, Institute for Study of Labor (IZA), Bonn. 2016.გვ. 27

165 Zhang Junsen. The Evolution of China's One-Child Policy and Its Effects on Family Outcomes. The Journal of Economic Perspectives, Winter 2007, Vol. 31, No. 1. American Economic Association. გვ. 144

## 4.2. „ორი შვილი საკმარისია“

დემოგრაფიული აფეთქების შეჩერება წარმატებით შეძლო ირანმაც შობადობის რეგულირებით. როგორც ჩინეთის შემთხვევაში, თავდაპირველად ირანის მთავრობა რაოდენობაზე აკეთებდა აქცენტს, თუმცა, როდესაც გარკვეული საფრთხეების გამოვლენა დაიწყო (სამუშაო ადგილებისა და სურსათის დეფიციტის საშიშროება და სხვ.), 1993 წელს მიიღეს კანონები (სასურსათო ტალონებისა და სოციალური სუბსიდიების გაუქმება 3 და მეტი შვილის შემთხვევაში), რომლის მიხედვითაც 2 შვილი ერთგვარ ნორმად იქცა.<sup>166</sup> შედეგად შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც 1970-იან წლებში 6.5-ს შეადგენდა, 2002 წლისთვის 2 გახდა.

საყურადღებოა ინდოეთში წარმოებული დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც ქვეყნის, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჭარბი მოსახლეობის პრობლემა. მოსახლეობის ამჟამინდელი ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, ინდოეთი მოსახლეობის რაოდენობით უახლოეს წლებში პირველ ადგილს დაიკავებს. ამასობაში კი ეკოლოგიური უსაფრთხოება ფაქტობრივად არ „ფუნქციონირებს“, ამასთანავე, ეკონომიკური რეალობაც უმძიმესია.

1970-იანი წლებიდან ინდოეთში წარმოებულ დემოგრაფიულ პოლიტიკას მცირე, თუმცა დადებითი შედეგი გააჩნდა (მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები 2.24%-დან 2.23%-მდე შემცირდა).<sup>167</sup> ასევე შემუშავდა მიზნები – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის 2.1-მდე შემცირება,

166 Иванов С.Ф. Снижение рождаемости в странах Юга: политика вокруг политики. Экономический журнал ВШЭ, 2011 № 4 გვ. 575

167 Демографические исследования. Региональная демографическая политика. Сборник статей. Под ред. Елизарова В.В. и Джанаевой Н.Г.

18 წლამდე გოგონების შეუღლების აკრძალვა, ვენერიული დაავადებების გავრცელების აღკვეთა და სხვ. ჭარბმოსახლეობის კუთხით ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ინდოეთის შტატებში: ბიჰარში, რაჯასტანში, მადჰჰია-პრადეშში, უტარ-პრადეშში. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის რეგულირება ინდოეთის ყველა შტატში თანაბრად წარიმართა. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაწყებულმა მოსახლეობის რეგულირებამ გარკვეულ შედეგებს მიაღწია, თუმცა ამ ეტაპზე მეტი ზომებია მისაღები, რადგან მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება.

ბევრად რთულადაა საქმე სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტზე, სადაც დემოგრაფიული აფეთქება დღემდე გრძელდება, რაზეც ზემოთ აღნიშნული სტატისტიკა მიუთითებს. შობადობის რეგულირების მხრივ ყურადღებას იპყრობს ნიგერია, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით პირველ ადგილზეა კონტინენტზე.

ნიგერიაში შობადობის რეგულირება პრეზიდენტ იბრაჟიმ ბაბანგიდას სახელთან არის დაკავშირებული. მიზანი იყო 2000 წლისთვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის 6-დან 4-მდე შემცირება, ხოლო წელიწადში მოსახლეობის ზრდის ტემპების 3.3%-დან 2%-მდე. ანუ გეგმის მთავარი არსი იყო „ოთხი შვილი საკმარისია“. მოსახლეობაში გამოწვეულმა უკმაყოფილებამ იძულებული გახადა ნიგერიის მთავრობა უარი ეთქვათ ასეთ დემოგრაფიულ პოლიტიკაზე.

შედეგად ნიგერიაში, როგორც აფრიკის კონტინენტის სხვა ქვეყნებში, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია, რაც უფრო ამძიმებს რეგიონის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ეს განპირობებულია როგორც ეკონომიკური ფაქტორით (სამედიცინო მომსახურება და კონტრაცეპციის მეთოდები არ არის

სათანადოდ განვითარებული), ასევე კულტურულით (ნატალიზმის პროპაგანდა და ა.შ.).

დემოგრაფიული აფეთქების ფენომენი არის როგორც ლოკალური (ცხოვრების ხარისხის გაუარესება კონკრეტულ რეგიონში), ასევე გლობალური (ეკოლოგიური კატასტროფა; საიმიგრაციო კრიზისი; ტერორიზმი და სხვ.) გამოწვევა.

საყურადღებოა ის ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციას ემსრობიან (მაგალითად, „Population Matters“<sup>168</sup>) და ძირითადად იდეების პროპაგანდით შემოიფარგლებიან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს მოსახლეობა საკმაოდ სწრაფი ტემპებით იზრდება, შეგვიძლია საუბარი მათ არაეფექტურობაზე, ვინაიდან არსებულ რეალობაში უფრო მკაცრი ზომებია მისაღები, რაც შებადობის რეგულირებაში გამოიხატება.

დემოგრაფიულ პროცესებში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიურ ფაქტორს. ძირითადად სასულიერო პირები ნატალიზმის მომხრები არიან, რაც გამოიხატება მრავალშვილიანობის წაქეზებაში. შემთხვევითი არ არის, რომ პოლ ერლიხი თავის ნაშრომში („დემოგრაფიულ ბომბაში“)<sup>169</sup> მიმართავს პროტესტანტ და კათოლიკე სასულიერო პირებს, როდესაც საუბარი მოსახლეობის რეგულირებასთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, დემოგრაფიულ აფეთქების პრობლემასთან.

როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვეობის მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ეკოლოგიური უსაფრთხოება, რომლის მთავარი გამოწვევა უკონტროლო დემოგრაფიული პროცესებია. აქედან გამომდინარე, საერთაშორი-

168 [Populationmatters.org](http://Populationmatters.org)

169 Ehrlich Paul R. The Population Bomb. Population control or race to oblivion? New York, Ballantine Books, inc, 1969.

სო ურთიერთობებში მთავარი საკითხი დემოგრაფიული რეგულირების აუცილებლობაა, ვინაიდან ეკოლოგიური კატასტროფა არა ლოკალური, არამედ გლობალური საფრთხეა.

როგორც ალტერნატივა და დაბალანსების ყველაზე ზომიერი მეთოდი, ასეთ უმძიმეს პირობებში არის მსოფლიო დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც ამავდროულად კონსოლიდაციის გარანტი იქნება ერებს შორის.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა დემოგრაფიული პოლიტიკის ორი მოდელი: „ერთი შვილის პოლიტიკა“ და „ორი შვილის პოლიტიკა“.

უნდა აღინიშნოს, რომ „ერთი შვილის პოლიტიკა“ აუცილებლად უნდა განხორციელდეს იმ ქვეყნებში, სადაც ჭარბმოსახლეობის პრობლემაა (ეკოლოგიური პრობლემები, სიღარიბე, კვების დეფიციტი, უმუშევრობა და სხვ.). ამ კუთხით უმძიმეს მდგომარეობაშია აფრიკის კონტინენტი, რომლის ქვეყნების უმრავლესობაში ეკოლოგიური და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ბალანსის შესანარჩუნებლად უმჯობესია განხორციელდეს „ერთი შვილის პოლიტიკა“, რაც დროებით ხასიათს ატარებს და შემდგომ შეიცვლება „ორი შვილის პოლიტიკით“, რომელიც საბოლოოდ დაარეგულირებს დემოგრაფიულ პროცესებს, არ დაუშვებს დემოგრაფიულ აფეთქებას და მის მიერ გამოწვეულ ჭარბმოსახლეობას, რომელიც გამანადგურებელია ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის, რაც არაერთ კატასტროფაში გადაიზრდება.

შესაბამისად, „ორი შვილის პოლიტიკა“ მიზანშეწონილია განხორციელდეს ქვეყნებში, სადაც ამ ეტაპზე ჭარბმოსახლეობის პრობლემის საკითხი მწვავედ არ დგას და რომლებისთვისაც პრიორიტეტია, რომ საერთოდ არ იქნეს დაშვებული ეს პრობლემა.

## **თავი მეხუთე. მწვანე თეორია, როგორც ფუნდამენტი XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში**

### **5.1. ეკოლოგიური უსაფრთხოება და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები**

XXI საუკუნეში არსებული პრობლემების გამწვავება, რომელიც, უძირველეს ყოვლისა, მოსახლეობის დინამიკასთან (ანთროპოგენური ფაქტორი) არის დაკავშირებული, რასაკვირველია, საჭიროებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ეკოლოგიური უსაფრთხოებისადმი დამოკიდებულების დადგენას, ვინაიდან ეკოლოგიური ფაქტორი გლობალური უსაფრთხოების ფუნდამენტს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღინიშნა, რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში აქცენტს აკეთებს ნაციონალურ სახელმწიფოსა და მის უსაფრთხოებაზე – „ნაციონალური სახელმწიფო, როგორც მთავარი აქტორი“. ყველა ქვეყანა ერთმანეთისთვის პოტენციურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს.

საერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმის მთავარ ოპონენტად გვევლინება ლიბერალიზმი, რომელსაც, რეალიზმისგან განსხვავებით, გლობალური საკითხებისადმი იპტიმისტური პოზიცია გააჩინია.

უნდა გამოიყოს ლიბერალიზმის მთავარი მახასიათებლები:

- საზოგადოების დემოკრატიზაცია (ლიბერალ-დემოკრატია), როგორც მშვიდობის გარანტია გლობალურ დონეზე;
- ადამიანის უფლებები;
- არაძალადობრივი მიდგომა (არაძალადობრივი კონკურენცია);

- თავისუფალი ვაჭრობის დამკვიდრება როგორც მშვიდობის გარანტი და ა.შ.<sup>170</sup>

საერთაშორისო ურთიერთობებში რეალისტებისა და ლიბერალების პოზიციების შედარებისას შეიძლება ითქვას, რომ პირველები მუდმივი დაპირისპირების სამყაროს გვთავაზობენ (სახელმწიფოები, როგორც პოტენციური მტრები), ხოლო უკანასკნელნი, პირიქით, თუმცა მშვიდობა („მშვიდობიანი ახალი წესრიგი“) იქნება იმ შემთხვევაში, თუ ყველა სახელმწიფო ლიბერალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას გაიზიარებს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებმა აღარ უნდა მიმართონ ძალის გამოყენებას.

გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობებში საყურადღებოა კონსტრუქტივიზმის თეორია, რომლის მთავარი თეორეტიკოსი პოლიტოლოგი ალექსანდრე ვენდტია.<sup>171</sup> ავტორი განიხილავს კონტრუქტივიზმს როგორც სტრუქტურულ იდეალიზმს. ეს პოზიცია შესაძლოა გავიგოთ იმ კუთხით, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორია სოციალურ-იდეოლოგიურ ფაქტორებზეა ორიენტირებული. ამავდროულად არსებობს კონსტრუქტივიზმის მრავალი ფორმა. ეს არის სრულიად განსხვავებული მიდგომა, რომელსაც ონტოლოგიური მიდგომა გააჩნია, განსხვავებით ნეორეალისტებისა და ნეოლიბერალებისგან, თუმცა სოციალური თეორიები არ წარმოადგენენ საერთაშორისო პოლიტიკის თეორიებს და აქედან გამომდინარე,

---

170 Burchill Scott, Linklater Andrew, Devetak Richard, Donnelly Jack, Paterson Matthew, Christian Reus-Smit and Jackui True. Theories of International Relations. Third edition. PALGRAVE MACMILLAN, 2005. გვ. 81

171 Wendt Alexander. Social Theory of international Politics. Cambridge University Press 1999.

საერთაშორისო პოლიტიკის უკეთ გააზრებისთვის საჭიროა კონსტრუქტივიზმის, მატერიალიზმისა და ინდივიდუალისტური ონტოლოგიის განსხვავებათა დაზუსტება.<sup>172</sup> კონსტრუქტივისტები სოციალურ სამყაროში არსებული მოვლენების ალტერნატიულ განმარტებებს გვთავაზობენ, რომ ყველაფერთან ერთად, მატერიის გარდა, ასევე არსებობს იდეები, იდენტურობა და ნორმები.<sup>173</sup> საერთაშორისო ურთიერთობები გვევლინება როგორც სოციალური სტრუქტურა.

რაც შეეხება ეკოლოგიურ უსაფრთხოებას საერთაშორისო ურთიერთობებში, გასათვალისწინებელია პერიოდიზაცია და ქრონოლოგია, ვინაიდან XX საუკუნემდე ეკოლოგიური პრობლემები თითქმის არ ფიგურირებდა, ხოლო მათი გამწვავება დაკავშირებულია მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდასთან, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა XXI საუკუნის პირველ ნახევარში. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში უმთავრესი ადგილი დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ ფაქტორს არ ეკავა. ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე გლობალურ პრობლემებს (გარემოს დაბინძურება, გლობალური დათბობა, რესურსების დეფიციტი და გლობალური შიმშილის საშიშროება და სხვ.), გასაგები ხდება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების არც ერთმა თეორიამ არ გაამართლა და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმ იდეის დამკვიდრებას, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას – ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, რაც ფაქტობრივად ნიშნავს გლობალური უსაფრთხოების ფუნდამენტის ფორმირებას.

172 იქვე. გვ. 6

173 McGlinchey Stephen, Walters Rosie & Christian Scheinpflug. International Relations Theory. E-International Relations Publishing. Bristol, England, 2017. გვ. 41

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური კატასტროფის კატალიზატორი არის დემოგრაფიული აფეთქება, რაც ნიშნავს იმას, რომ მთავარი გლობალური პრობლემის მოგვარება საჭიროებს შობადობის რეგულირებას. შესაბამისად, აუცილებელია იმ საერთაშორისო თეორიაზე ფოკუსირება, რომელიც XXI საუკუნის ყველაზე მთავარ გლობალურ გამოწვევას დაასრულებს.

## 5.2. მწვანე იდეოლოგიების ფორმირება და ახალი იდეოლოგიების დაპირისპირება

XX საუკუნე უდავოდ იდეოლოგიური დაპირისპირების საუკუნეა (ძირითადი იდეოლოგიები – ლიბერალიზმი; სოციალიზმი; იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი). ამის დასტურია ორი მსოფლიო ომი, და საბოლოოდ „ცივი ომი“ (1945 წელს ფაშიზმის მარცხი, შემდგომ სოციალისტური ბანაკის ლიკვიდაცია 1991 წელს), რომელსაც, წესით, ეს დაპირისპირება ლიბერალიზმის ტრიუმფით უნდა დაესრულებინა – ე.წ. „ისტორიის დასასრული“.<sup>174</sup> თუმცა, რასაკვირველია, „ისტორიის დასასრული“ არარეალური პროცესი აღმოჩნდა, იგი მალევე ჩაანაცვლა ცივილიზაციური წინააღმდეგობის იდეამ, ე.წ. „ცივილიზაციათა შეჯახებამ“.<sup>175</sup> ამ ეტაპზე ჩვენ ვართ თვითმხილველნი ახალი დაპირისპირებისა, რომელიც ყოველგვარ ცივილურ, რასობრივ, ეთნიკურ და ა.შ. კუთვნილებას გასცდა.

XXI საუკუნეში დემოგრაფიული და ეკოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე, აქამდე ცნობილი „და-

174 Fukuyama Francis. The End of History and the Last Man. New York, The Free Press, A Division of Macmillan, Inc., 1992.

175 Huntington Samuel. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order Simon and Schuster. New York, 1996.

პირისპირებები“ კარდინალურ ცვლილებას განიცდიან. ფაქტობრივად საქმე გვაქვს მწვანე იდეოლოგიების განმტკიცებასთან (რაც, თვის მხრივ, გამოწვეულია დემოგრაფიული პროცესებისა და ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების ფონზე), რომელთა ჩამოყალიბება 1970-იანი წლებიდან აღინიშნება.<sup>176</sup> თანამედროვეობაში მწვანე პოლიტიკა გლობალურ ძალად იქცა, რაც უკვე ნიშნავს იდეოლოგიური ფაქტორის ცვლილებას.

აღსანიშნავია „მწვანე პოლიტიკის“ უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც ინგლისისა და უელსის მწვანეთა პარტიის წევრი დერეკ უოლი განსაზღვრავს:<sup>177</sup>

1. ეკოლოგიზმი (ენვირონმენტალიზმი);
2. სოციალური სამართლიანობა;
3. დემოკრატია;
4. ძალადობრივი მეთოდების გამოყენებაზე უარის თქმა.

პირველი ეკოლოგიური პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა ავსტრალიაში, 1972 წლის მარტში. ასევე ამ პერიოდში ყალიბდება ეკოლოგიური პარტიები და ორგანიზაციები ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში, რის შედეგადაც მწვანე პარტიები გლობალურ ფენომენად იქცნენ.<sup>178</sup> უპირველეს ყოვლისა, მწვანე პოლიტიკური იდეის მიერ გლობალური იერის მიღება განპირობებულია გარემოს დაბინძურებით, მაგრამ, ამავდროულად, გასათვალისწინებელია თანამედროვეობაში ძალზედ აქტუალური კლიმატის ცვლილება, გლობალური

176 Wall Derek. The No-Nonsense Guide to Green Politics. New Internationalist Publications, Oxford, 2010. gv. 12.

177 იქვე.

178 Wall Derek. The No-Nonsense Guide to Green Politics. New Internationalist Publications, Oxford, 2010. გვ. 18.

დათბობა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი გარემოს საკითხებით დაინტერესებას საკმაოდ საინტერესო ისტორია გააჩნია. ამ კუთხით ერთ-ერთ ყველაზე ძველ იდეას წარმოადგენს მწვანე ანარქიზმი (ეკოანარქიზმი), რომლის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პენრი დევიდ ტორომ (1817-1862) („უოლდენი, ანუ ცხოვრება ტყეში“ (1854 წ.)).<sup>179</sup> ნაშრომში განხილულია ბუნებასთან სიახლოვის აუცილებლობა, მატერიაზე უარის თქმა და სრულიად მატერიალიზმის მონობიდან თავის დახსნა, რაც, თავის მხრივ, მომხმარებლური დამოკიდებულებიდან გამოსვლას ნიშნავს. ამ კუთხით ეკოანარქიზმში ძლიერია ანარქო-პრიმიტივიზმის ტენდენცია. აღნიშნული იდეის მიმდევრები ემხრობიან დეინდუსტრიალიზაციას, ხოლო თეოდორ კაჩინსკის მიერ დაწყებული ბრძოლა ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ყოველივეს. ამ იდეის ერთგვარ ახალ ეტაპად შესაძლოა მივიჩნიოთ სოციალური ეკოლოგიის დაარსება, რომლის ფუძემდებელია ამერიკელი ფილოსოფოსი მიურეი ბუკრინი. სოციალური ეკოლოგიის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ, თითემის ყველა თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემის წარმოქმნა სოციალური პრობლემებიდან მომდინარეობს.<sup>180</sup> ავტორი ერთგვარ ფუნდამენტად ასახელებს ეკონომიკურ, ეთნიკურ, კულტურულ და გენდერულ კონფლიქტებს,<sup>181</sup> თუმცა უნდა აღინიშნოს, თავდაპირველად დემოგრაფიული ციკლებიდან გამომდინარე მთავარ კატალიზატორად გვევლინება დემოგრაფიული აფეთქება, თუმცა უდავოა, რომ სოციალურ ეკოლოგიას უდიდესი

179 Thoreau David Henry. Walden. Houghton Mifflin Company, Boston, New York, 2004.

180 Bookchin Murray. Social Ecology and Communalism. AK Press, Oakland, 2006. გვ. 19.

181 იქვე.

დატვირთვა გააჩნია. სულ მცირე ამის დასტურად შეგვიძლია ჩავთვალოთ სხვადასხვა ეტაპზე შემდეგი იდეოლოგიების ჩამოყალიბება: მწვანე კონსერვატიზმი და მწვანე ლიბერალიზმი, ეკონაციონალიზმი და ეკოფაშიზმი, ეკოკაპიტალიზმი და ეკოსოციალიზმი, ეკოფერმინიზმი, ღრმა ეკოლოგია და სხვ. მწვანე იდეოლოგიების ფორმირება და განმტკიცება, როგორც ზემოთ აღინიშნა, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების შედეგია, რაც დროთა განმავლობაში უფრო მწვავე ფორმებში გადაიზრდება.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ახალი იდეოლოგიების შესახებ, პირველ რიგში, საყურადღებოა მწვანე იდეაზე ფოკუსირებული იდეოლოგიები, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე სამყაროში ძირითადი პრობლემები და გამოწვევები დაკავშირებულია ეკოლოგიურ ფაქტორთან, რომელიც, ამავდროულად, დამოკიდებულია დემოგრაფიულ ფაქტორზე. აქედან გამომდინარე, ყურადღებას იპყრობს ეკოფაშიზმი და ეკოსოციალიზმი, რომლებიც შესაძლოა უახლოეს მომავალში საკმაოდ სერიოზულ ძალად გარდაიქმნან.

### **5.3. მწვანე თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში**

საერთაშორისო ურთიერთობებში თანამედროვეობაში არსებული გლობალური პრობლემების გათვალისწინებით (რომლებიც პირდაპირ კავშირშია ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან), უფრო აქტუალური ხდება მწვანე თეორია. ეკოლოგიურ პრობლემებს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ცენტრალური ადგილი არასდროს ეკავა,<sup>182</sup> თუმცა შემდგომში ეკოლოგიური პრობლემების

---

182 Dunne Tim, Kurki Milja, Smith Steve. International Relations Theories.  
96

ესკალაციის შედეგია საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობა. აღიარებულ იქნა გლობალური ეკოლოგიური კრიზისი.<sup>183</sup> მოსახლეობის ზრდა და მით უმეტეს დემოგრაფიული აფეთქების ფენომენი განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს ახალი სივრცის ათვისებას, მეტი რესურსის მოპოვებას, ხოლო ამ პროცესების პირობებში იწყება გარემოს დაბინძურება, გაუტყეურება, ნიადაგის ეროვნია და სხვ.

მწვანე თეორიის მნიშვნელობის ზრდა ასევე განპირობებულია ეკოლოგიური კრიზისის გამწვავებით, რომელიც XX საუკუნიდან დღემდე აქტიურად გრძელდება. მწვანეების აზრით,, ეკოლოგიური კრიზისის მიზეზია ექსპონენციალური (გეომეტრიული პროგრესით) ეკონომიკური ზრდა.<sup>184</sup> თანამედროვე ეკონომიკა მიმართულია მზარდი მოსახლეობის რესურსებით დაკმაყოფილებისკენ და ამასობაში არ არის გათვალისწინებული ეკოლოგიის მდგომარეობის გაუარესების საკითხი. ინდუსტრიალიზაცია გარემოს უდიდეს ზიანს აყენებს, ამიტომ მნიშვნელოვანია მდგრად განვითარებაზე ორიენტირო. მწვანეები თვლიან, რომ ეკოლოგიური კრიზისიდან გამოსვლისთვის საჭიროა რადიკალური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები.<sup>185</sup>

თანამედროვეობაში მწვანე თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში დღითი დღე მეტ ყურადღებას იპყრობს,  
Discipline and Diversity. Third Edition. Oxford University Press, 2013. გვ. 266

183 McGlinchey Stephen, Walters Rosie, Scheinpflug Christian. International Relations Theory. E-International Relations. England, Bristol, 2017. გვ. 84

184 Burchill Scott, Linklater Andrew, Devetak Richard, Donnelly Jack, Paterson Matthew, Christian Reus-Smit and Jackui True. Theories of International Relations. Third edition. PALGRAVE MACMILLAN, 2005. გვ. 237

185 იქვე.

შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს მომავალში არსებული თეორია სხვა თეორიებთან შედარებით უფრო გავლენიანი გახდება, რადგან გლობალური პრობლემები ძირითად შემთხვევაში ეკოლოგიურ პრობლემებთანაა მჭიდრო კავშირში. თუმცა მწვანე თეორია ითვლება ეკოცენტრისტულად,<sup>186</sup> რაც, რასაკვირველია, ნიშნავს იმას, რომ მწვანეები უპირისპირდებიან არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს, რაც გამოიხატება „მწვანე მორალში“. ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ გარემოს დაცვის მიზნით უნდა არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები, რათა გარემო არ დაზიანდეს. თუმცა ეს შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ადამიანის მომხმარებლობის უნარის შეზღუდვა. ამ შემთხვევაში უნდა დადგეს საკითხი – თანამედროვე სამყარო არის თუ არა მზად გადაარჩინოს თავისი მომავალი, რაც პირდაპირ კავშირშია ბუნებრივი რესურსების დაცვასთან, ან სრულიად ბუნების საპირისპირო პოზიციის გაზიარება, რაც ნიშნავს მომავლის უარყოფას, რადგან ამგვარი პოზიცია ნიშნავს ადამიანის უკიდურეს მომხმარებლობაზე ორიენტირს. ერთგვარი ბრალდება, რომ მწვანე თეორიაში უფრო მეტი უფლება გააჩნია ბუნებასა და გარემოს დაცვას, ვიდრე ადამიანს, მცდარია, ვინაიდან ეკოლოგიური კატასტროფის შემთხვევაში ადამიანის უსაფრთხოებაზე საუბარი არარეალურია. აქედან გამომდინარე, მწვანეების ორიენტირი ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, ნიშნავს სრულიად კაცობრიობის უსაფრთხოებაზე ორიენტირს. შემთხვევითი არ არის, რომ მწვანეთა ცენტრალურ პრინციპად მიჩნეულია ანთროპოცენტრიზმის ეთიკაზე უარის თქმა და ეკოცენტრისტული

---

186 McGlinchey Stephen, Walters Rosie, Scheinpflug Christian. International Relations Theory. E-International Relations. England, Bristol, 2017. გვ. 86

მიდგომის გაზიარება.<sup>187</sup> საუბარია გარემოზე უარყოფითი გავლენის დამყარებასა და ხალხის მიერ ბუნებაზე დომინირების უარყოფაზე.<sup>188</sup> რასაკვირველია, ადამიანზე ორიენტირი დაუშვებელია, რადგან ასეთი დამოკიდებულება ნიშნავს ეკოლოგიური უსაფრთხოების იგნორირებას. ეკოცენტრიზმი ეწინააღმდეგება ანთროპოცენტრიზმს,<sup>189</sup> რაც ლოგიკურია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკოცენტრიზმი უარყოფს ადამიანს,<sup>190</sup> არამედ რეალურად, როგორც უკვე აღინიშნა, ეკოლოგიური უსაფრთხოების ლიკვიდაცია ნიშნავს სრულიად კაცობრიობის განადგურებას, რაც რეალურად არა ანტროპოცენტრიზმს, არამედ რიგით დესტრუქციას წარმოადგენს. ეკოცენტრიზმის პრიორიტეტია ჯანსაღი ეკოსისტემები, რადგან ისინი ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის აუცილებელი პირობებია, ხოლო ანტროფოცენტრიზმი წარმოადგენს მოკლევადიან ღირებულებას,<sup>191</sup> რაც გამოიხატება ბუნების ექსპლუატაციაში. გარკვეულწილად საერთაშორისო ურთიერთობებში ეს არის მწვანე თეორიის არსი. შეგვიძლია, ამასთანვე, ვისაუბროთ ეკოცენტრიზმის ოთხ ძირითად ეთიკურ მახასიათებელზე, რაც გამოიხატება ბუნებრივი გარემოს მიმართ დამოკიდებულებაზე – რესურსების შენარჩუნება, ადამიანის ეკოლოგიური კეთილდღეობა, ცხოველების დაცვა და

187 Burchill Scott, Linklater Andrew, Devetak Richard, Donnelly Jack, Paterson Matthew, Christian Reus-Smit and Jackui True. Theories of International Relations. Third edition. PALGRAVE MACMILLAN, 2005. გვ. 239

188 ივე.

189 McGlinchey Stephen, Walters Rosie, Scheinpflug Christian. International Relations Theory. E-International Relations. England, Bristol, 2017. გვ. 87

190 იქვე.

191 McGlinchey Stephen, Walters Rosie, Scheinpflug Christian. International Relations Theory. E-International Relations. England, Bristol, 2017. გვ. 87

გათავისუფლება.<sup>192</sup> ფაქტია ის, რომ გარემოს დაბინძურებას არ გააჩნია საზღვრები და ეს რეალურია. მით უმეტეს ძალზედ რთულ ფენომენად გვევლინება კლიმატის ცვლილება, რომელიც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პოპულაციები ეკოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულნი არიან, აუცილებელია კოლექტიური მოქმედება ეკოლოგიური საკითხების გადაჭრის მიზნით<sup>193</sup> და არა მხოლოდ ნაციონალურ ინტერესებზე ფოკუსირება.

ალტერნატივის აუცილებლობაზე საუბრისას დღეს ხშირად ყურადღების ეპიცენტრშია ტექნოლოგიური განვითარება, რაც რეალურად არ წამოადგენს პრობლემის მოგვარების გარანტს, არამედ მხოლოდ ვადის ერთგვარი გადადებაა, რაც დროებით ხასიათს ატარებს<sup>194</sup> და გარკვეული პერიოდის შემდგომ პრობლემა უფრო მწვავე ფორმებში გადადის. თუ გამოსავალი წარმოების შემცირებაა, რათა არ დაბინძურდეს ბუნებრივი გარემო, შესაბამისად, საჭიროა შემცირდეს მოსახლეობის რაოდენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმები გარდუვალია.

დემოგრაფიული აფეთქება, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება და სრულიად ეკონომიკის სწრაფი განვითარება ემთხვევა ეკოლოგიური მოძრაობების გაძლიერებას, რაც ორგანულია, ვინაიდან მსოფლიოს ეკოლოგიური

192 Burchill Scott, Linklater Andrew, Devetak Richard, Donnelly Jack, Paterson Matthew, Christian Reus-Smit and Jackui True. Theories of International Relations. Third edition. PALGRAVE MACMILLAN, 2005. გვ. 239

193 McGlinchey Stephen, Walters Rosie, Scheinpflug Christian. International Relations Theory. E-International Relations. England, Bristol, 2017. გვ. 87

194 Burchill Scott, Linklater Andrew, Devetak Richard, Donnelly Jack, Paterson Matthew, Christian Reus-Smit and Jackui True. Theories of International Relations. Third edition. PALGRAVE MACMILLAN, 2005. გვ. 240

მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და დღეს უკვე რთულია საუბარი ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გაუმჯობესდა ეკოლოგიური მაჩვენებლები,<sup>195</sup> გლობალურ დონეზე საკმაოდ რთული ვითარებაა. გლობალური პრობლემები საჭიროებენ გლობალურ ჩართულობას და ამ პრობლემების გადაჭრას.<sup>196</sup>

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახის პრობლემასთან შედარებით, ეკოლოგიური პრობლემები უფრო რთულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ამგვარ პრობლემებს გავრცელება ახასიათებთ (არეალის მოცულობა), საკმაოდ დიდი დრო არის საჭირო ამ საკითხების გადაჭრისთვის და ასევე მრავალი მონაწილის ჩართულობას მოითხოვს.<sup>197</sup> საინტერესო მომენტია მწვანე თეორიის დამოკიდებულება იდეოლოგიების მიმართ. არსებობს მრავალი მწვანეთა მიმდინარეობა, ზოგიერთი იდეოლოგია საკმაოდ მჭიდრო კავშირშია მწვანე იდეასთან. თუმცა ფაქტია, რომ მწვანე თეორია აკრიტიკებს როგორც დასავლურ კაპიტალიზმს, ასევე კომუნიზმს.<sup>198</sup> მიუხედავად იმისა, რომ ორივე ურთიერთდაპირისპირებულ იდეოლოგიას წარმოადგენს, ამავდროულად ორივე იდეოლოგია ინდუსტრიალიზმს ქადაგებს. ასევე აღსანიშნავია მწვანე თეორიის ე.წ. „ტალღები“. მწვანე პოლიტიკური თეორიის პირველი ტალღის დროს იყო მცდელობა, ძირითადი სოციალური ინსტიტუტების

195 Dunne Tim, Kurki Milja, Smith Steve. International Relations Theories. Discipline and Diversity. Third Edition. Oxford University Press, 2013. გვ. 268

196 McGlinchey Stephen, Walters Rosie, Scheinpflug Christian. International Relations Theory. E-International Relations. England, Bristol, 2017. გვ. 87

197 Dunne Tim, Kurki Milja, Smith Steve. International Relations Theories. Discipline and Diversity. Third Edition. Oxford University Press, 2013. გვ. 268

198 იქვე. გვ. 270

